პარასკევი, 1918 წ. თებერვლის 2 (15) № 27

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

ხელნაწერი მოკლე უნდა იყოს გადაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უხელმოწერო გამოგზავნილი წერილი არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი ხელნაწერი არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

ხელის მოწერის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 20 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. ხელმოწერის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორკეცი იქნება. ხანგრძლივი განცხადებები თითოეული ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორის შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

დ ღ ე ს:

ც ნ ო ბ ე ბ ი:

კრილენკო ომს გათავებულად აცხადებს.—გამოიცა საყოველთაო დემობილიზაციის ბრძანება.—ვინნიჩენკო და პეტლიურა ბოლშევიკებმა შეიპყრეს.—კალედინს თავი მოუკლავს.—ავსტრიის სამინისტრო გადადგა.— ოსმალთა რაზმმა კავკასიის ფრონტზე კალკიტი დაიჭირა.

შაუმიანმა მანიფესტი გამოსცა.

გამოიცა დეკრეტი ახალგაზდების (19 წლიდან 25 წლამდე) მობილიზაციის შესახებ.

წ ე რ ი ლ ე ბ ი:

რ. ინგილო. პოლიტიკური კრიზისი და სომხები.

გივი ზოლლენდი. კომისარიატი და ფულის კრიზისი.

გ. ზორდეზიანი. სურსათისათვის.

ქართული პრესა. სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა, საოლქო ცენტრი და თვითგამორკვევა.

ინ-ბანი. და ასე ბოლომდე.

მათე იანქოშვილი. ტელეგრაფის ნაციონალიზაცია.

კორესპონდენცია. საინგილოდან.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის დეკრეტი მობილიზაციის შესახებ.

კვირას, 4 თებერვალს კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილის

ნინა უშვერიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულდაწყვეტილნი მშობლები ანნა მიხეილის ასული და მიტროფან ზაქარიას ძე შვილებით: თამარ, ქეთო და გოგით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე. 1—998—1

მარიამ ნიკოლოზის ასული ასათიანისა ქმრით და შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს პირველი დისწულის და მესამეთ დეიდაშვილის [illegible]

ქეთო სარაჯიშვილის

გარდაცვალებას რაიც მოხდა იანვრის 29 ქ. სიღნაღში. პანაშვიდი გარდახდილ იქნება ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში პარასკევს 2 თებერვალს წირვის შემდეგ. 1—999—1

პარასკევს 2 თებერვალს დილის 11 საათზედ დანიშნულია სამეურნეო ბანკის თბილისის

მეორე რაიონის

წევრთა კრება.

გთხოვთ ყველას დასწრება.

კრების საგანი:

ა) მოხსენება კონფერენციის შესახებ.
ბ) მიმდინარე მომენტი.
გ) არჩევნები რაიონის კომიტეტის თავმჯდომარისა და რამდენიმე სხვა წევრთა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართული სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროის განმავლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის სასარგებლოდ მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

სახელმწიფო თეატრი

დილის წარმოდგენა.

კვირას, 4 თებერვალს, 1918 წ. ქართული ოპერეტის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი აზიური ოპერეტა

არშინ-მალ-ალან

ოპერეტა 4 მოქ. გაჯიბეკოვისა, თარგ. [illegible].

მონაწილენი

სულეიმან ბეგი . . ვასო აბაშიძე.
ასია . . ტასო აბაშიძე.
ასკერი . . ალ. იმედაშვილი.
ხალა . . მ. ჩერქეზიშვილი
თელი . . ნ. ჯავახიშვილი
გულჩორა . . ც. ამირეჯიბი
სულეიმანი . . ნ. ჩაგუნავა.
ველი . . ი. [illegible]

იქნება საკუთარი ტანისამოსი.

დასაწყისი შუადღის სრულ 12 საათზე.

ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში.

1—994—1 გამგე გ. [illegible]

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

[illegible] კანისა, ვენერიულ და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოს. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეჰრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა — ფილტვის — [illegible] რენტგენ-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა (ს. ი.) სხივებით, [illegible] ნაკადები [illegible] შინაგანის სნეულებისათვის, [illegible] ავადმყოფებს იღებს ყოველდღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 ს., მიხეილის ქ. № 28, ტელეფ. № 7—92. თ—986—5

სამკურნალო კაბინეტი

პ. ს.

ფონ-ირტელისა

ქირურგიულ-ვენერიულ და ქალის სნეულ-მყოფებისათვის სპეციალური სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციებით, წამლობა „914"-ით და „606"-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილით და $4^1/_2$—8 საღამოთი. მიხეილის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით. თ—920—31

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებ[illegible] ავადმყოფებს საღამოს 5-დან 7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 41 ტელეფონი № 15—09

[illegible] ანტიმოსის ძე

კალანდარიშვილი

[illegible]

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებების ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7, ტელეფ. № 17—21.

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინისა. იღებს შინაგან და ნერვების ავადმყ. (პსიხოტერაპია) სამშაბათობით, ოთხშაბ., ხუთშაბ. და პარასკევ. 3—5 საათ. ოლღას ქუჩა № 22. თ—989—5

ქალის ექიმმა

მამულაიშვილი-ხოდნევისამ

განაახლა

ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

25—823—72

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

ყორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული ჭლექი და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. [illegible] ქუჩა № 6, [illegible]. თ—960—11

ოთახი

სჭირია ჩვენს თანამშრომელს. აცნობეთ რედაქციაში, ტელ. 15—73, ან მის ბინაზე ტელ. 12—14. (3—2)

პოლიტიკური კრიზისი და სომხები

რამდენიმე დღის წინათ თბილისის საზოგადოება განცვიფრებით კითხულობდა სტეფანე შაუმიანის განცხადებას ლენინის მიერ მთელი კავკასიის საგანგებო კომისრად დანიშვნის შესახებ. ყველას აკვირვებდა ის გარემოება, რომ შაუმიანს ასე დაუფარავად მოჰყავდა სისრულეში ნოემბერში გამოცემული დეკრეტი. [illegible] ბოლშევიკების კომისარმა მიყრუებულ ქალაქიდან შეუთვალა მოქალაქეთ, რომ [illegible] არიან მხოლოდ მისი ბრძანებანი შეასრულონ, როგორც კანონიერი მთავრობის წარმომადგენლისა.

როგორ და რა საშუალებით უნდა განახორციელოს ახლად მოვლინებულმა „მმართველმა" დაკისრებული სახელმწიფოებრივი ფუნქციები? რა ელემენტზე დაყრდნობა სომეხ-ბოლშევიკი „სახალხო კომისრების" ინსტრუქციების განხორციელებაში? თუ შაუმიანი უცდიდა დამფუძნებელ კრების არჩევნების შედეგს, უნდა იგრძნო, რომ ამიერ-კავკასიის საარჩევნო ოლქმა სრული უნდობლობა გამოუცხადა ბოლშევიზმს, განსაკუთრებით ეს ითქმის ქართველებზე, რომელთა შორის „მეუმრავლესენი" თითებზე ჩამოითვლებიან, მაჰმადიანებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ვინაიდან ამ ხალხში ბოლშევიკს ვერ აღმოაჩენთ დიოგენის ფარნის შემწეობითაც... მაშასადამე, სტ. შაუმიანს განუზრახავს ძალა-უფლების ხელთ-გდება იმ ხალხის დახმარებით, რომელიც ომის დამთავრებამდე ტოვებს ფრონტს და გზადაგზა აგდებს კალაისებრ ოხრებს! ჩრდილოეთისკენ მიმავალ [illegible] ლამობს ბ-ნი შაუმიანი ლოცვა-კურთხევის მიღებას, რომ [illegible] ამოუდგეს ბოლშევიზმის [illegible] ხალხს! დემოკრატიზმის და ხალხთა-მართველობის განმარტებაში მეცნიერებას ჯერ არ მოეპოვება ამგვარი დასკვნები, აქ პრიორიტეტი უცილობლად ბოლშევიკებს ეკუთვნის.

ველიკორუსიაში გაბატონებული ბოლშევიკები, ალბათ, [illegible] ძველ დიდ და განუყოფელ რუსეთის იდეაზე — სხვას ჩვენ ვერაფერს ვხედავთ მათ მართვა-გამგეობის ტაქტიკაში. „რევოლუციის გამაგრებაზე" ჩვენის აზრით, სხვები უკეთ ზრუნავენ, რასაც უტყუარი მაგალითი უკანასკნელ დრომდე, ვიდრე პროვოკაციის და ინტრიგების [illegible], იყო მაგალითად ამიერ-კავკასია და, კერძოდ, საქართველო. ბოლშევიკების „[illegible]" რუსეთის ცენტრებში რევოლუციას ზიანის გარდა არაფერი მოუტანა: მათ [illegible] რევოლუციაზე გული აცრუვა ყველა ზომიერ ელემენტს, ყველა მათ, ვინც დიდის [illegible] შეხვდა დესპოტიურ წეს-წყობილების დამხობას და სახელმწიფოს დაშლილ მანქანის გამოკეთებას რევოლუციურ წესებში ჰპოვებდა! მართალი იყო პუბლიცისტი, რომელმაც დასძინა, რომ თუ ოდესმე რუსეთს დაუბრუნდა თვითმპყრობელი, იგი ოქროს ჩარჩოში მოათავსებს ლენინის სურათს და სათაყვანებლად [illegible].

ბოლშევიკების კომისარის „ულტიმატუმ" მხოლოდ სომხებზე მოახდინა შეუმართებელი შთაბეჭდილება. პეტროგრადში კარგად იციან, რა განწყობილება სუფევს მენშევიკებსა და დაშნაკელების შორის და რამდენად საკვირველია იმაში, რომ კავკასიის მმართველობის სათავეში მყოფ ქართველ სოციალ-დემოკრატებთან ბრძოლაში „სახალხო კომისრები" [illegible]. ახლა მაინც: სტეფანე შაუმიანმა თვის გამოცხადებას წაუმძღვარა რუსის ბოლშევიკების დეკრეტი ოსმალეთის იმპერიის სომხეთის ავტონომიურად მოწყობის შესახებ. ამ დღიდან სომხის პრესამ [illegible] პოზიცია და სხვა ჰანგებზე დაიწყო მღერა. როგორც ვიცით, ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა შეიპყრონ ბ-ნი შაუმიანი და განდევნონ კავკასიის საზღვრებიდან. ეს ზომა თავისთავად [illegible], რადგანაც შეუძლებელია მთავრობამ, რომელსაც ხალხის ნდობა აქვს დამსახურებული, შეიწყნაროს პარალელური არსებობა მეორე მთავრობისა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე. დაშნაკცუტიუნის ორგანოს „აშხატავორს" არ ეპიტნიკა კომისარიატის განკარგულება და ცხარე პროტესტი შეუთვალა მას. თვით სოციალ-დემოკრატიული — მენშევიკური გაზეთი „პაიკარი" შაუმიანის ჩამოცილების მეორე დღეს აახლებს მწუხარე წერილს ამიერ-კავკასიის მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც უმთავრესად უსაყვედურებს იმას, რომ იგი გაურბის პეტროგრადის მთავრობასთან კონფლიქტს, რომელიც გაზეთის აზრით, ყოველად სავალდებულო უნდა ყოფილიყო ამ მთავრობისათვის. ამაზე ტიპიური ორმაგი პოლიტიკის წარმოდგენა შეუძლებელია. კერძო ცხოვრებაში ამგვარ საქციელს [illegible] უწოდებენ. სომხის პუბლიცისტებისათვის საკმარისი ყოფილა სომხეთისათვის ერთი სახეირო აქტის გამოცემა, რომ ხუნდრუკი უყვიან იმ მთავრობას, რომლის საერთო მიმდინარეობას ყოველთვის კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდენ.

ჩვენ არ ვიცით, რითი დამთავრდება შაუმიანის ავანტიურა: შეიძლება იგი სასტიკად დამარცხდეს და შემდეგისთვის თავი შეიკავოს აქტიურ პოლიტიკურ გამოსვლებისათვის, შესაძლებელია ისიც, რომ [illegible] ერთად მას მხარში ამოუდგნენ სომხობა და გამოაცხადონ იგი ერის ბელადათ. ყოველ შემთხვევაში ფხიზლად უნდა ვიყვნეთ, რომ ინტერნაციონალური დროშის ქვეშ თავი არ [illegible] მეზობელ ხალხის უკიდურეს შოვინისტებმა, რომელნიც შაუმიანთან ერთად, ალბათ, ოცნებობენ „[illegible] ჰაიასტანის" შექმნაზე.

რ. ინგილო.

კომისარიატი და ფულის კრიზისი

ამიერ-კავკასიის კომისარიატის მართველობითი მოქმედების კრიტიკა დღეს ჩვეულებრივი მოვლენაა. შესაძლოა ამ კრიტიკაში ბევრი რამ იყოს ჭარბი და ცალმხრივი,—მაგრამ ერთი კი უცილობელია: კომისარიატმა ვერ შექმნა ნამდვილი ხელმწიფებითი ძალა, მტკიცე და ურყევი. თვითონ სახელმწიფო გზა, რომელიც იმ თავითვე ირჩია კომისარიატმა, არ იყო თავით დადგენილებით სწორი და პირდაპირი,—და თავის თავად ცხადია, არც რომელიმე [illegible] კომისარიატისა გამოვიდოდა [illegible] ხელმწიფებითი სიბრძნისა და ნიჭის ნაყოფი [illegible]. ეს მერყეობა გამოიკვეთა მძაფრი რელიეფით რუსეთის სახელმწი-

საქართ. ერ.-დემოკრატიულ პარტიის მიტინგი.

კვირას, თებერვლის ოთხს, ახალ კლუბში 11 საათზე საქ. ეროვნ.-დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი გამართავს

მიტინგს,

რომელზედაც წარმოსთქვამენ სიტყვებს: ასათიანი ალექსანდრე, გვაზავა გიორგი, ვეშაპელი გრიგოლ, მაჭავარიანი იოსებ, ქარუმიძე შალვა და აგრეთვე სხვანი.

მიტინგის საგანია „საქართველოს განსაცდელი და ეროვნული დემოკრატია“.

ფოის ათვისებაში: ერთი მხრით, რუსეთი როგორც უზარმაზარი სახელმწიფო—ხუხულა დაინგრა სრულიად და მისმა ნაწილებმა იწყეს თავისი საკუთარი ხელმწიფებითი სიცოცხლე (ფინლიანდია, უკრაინა და სხვა),—ეს ფაქტი კომისარიატმაც მიიღო როგორც უტყუარი სინამდვილე,—მაგრამ მეორის მხრით, კომისარიატს ამ ფაქტისაგან არ გამოუყვანია ბუნებითი შედეგი: გამოყოფილად ეღლო ამიერ-კავკასია და ფორმალის მხრით თავისი საკუთარი სახელმწიფო მართველობა განემტკიცებია:—ფაქტიურად რუსეთს გამოყოფილი ამიერ-კავკასია კომისარიატის მოქმედებაში ფორმალურად ისევ რუსეთისაკენ იყურებოდა. რუსეთში კი, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ველიკოროსიაში, ბოლშევიკების მთავრობა დამყარდა სახალხო კომისრების სათათბიროს სახით,—რაიც ესერულ-მენშევიკურ ამიერ-კავკასიის კომისარიატისათვის სრულიად მიუღებელი შეიქნა. ამ ორმაგობის მდგომარეობით ხსენებულმა კომისარიატმა უცნაური სახე მიიღო: ერთი მხრით, მას მიმართავს ოსმალეთი როგორც „თავისუფალ მთავრობას“ საზავო მოლაპარაკებაში და ამავე საგნისათვის თვითონ გერმანიაც იწვევს მის დელეგატს ბრესტ-ლიტოვსკში,—ხოლო მეორის მხრით, იგივე კომისარიატი ვერც ერთს თავის დეკრეტში ვერ ამკვიდრებს თავის თავს როგორც „თავისუფალი მთავრობა“, ნამდვილი ხელმწიფებით გამართული.

კომისარიატის ასეთი მდგომარეობა ყველაზე უფრო ფულის კრიზისის დროს გამოიხატა. ოქრო და ვერცხლი აღარ არის. ნიკოლოზ მეორისა და ალექსანდრე კერენსკის ფული დღითი დღე ილევა. ბანკების ოპერაციები თანდათან სუსტდება. აღარ არის ფულის ნიშნები. ქაღალდის ფულს ან სულ არ იძლევიან,—ან თუ იძლევიან მხოლოდ „ჩეკის“ სახით. სოფელში დიდძალი ფული დაგროვდა,—მაგრამ ქალაქს არაფერი შეუძლია მიაწოდოს მას გასაყიდათ,—და ქაღალდის ფული რჩება იქ უბრალო „ჩაჩქად“. სოფელიც თანდათან გრძნობს ამგვარი ფულის „ქაღალდობას“,—და ახლა ისე დახარბებით აღარ მიაქვს გასასყიდათ ქალაქში საქონელი,—თვითონ სოფელში კი უმეტეს წილ ნატურალი მეურნეობა ბრუნდება: ყველს კვერცხზე სცვლიან, ღვინოს პურზე და ასე ამრიგად.

ამ დროს კომისარიატი „ბონებსა“ სცემს: ამ დღეებში უნდა გამოვიდეს. ქაღალდის ფული ისედაც ეცემა და ეს კი სრულიად გაანადგურებს მას. ყველასათვის ცნობილია, რომ ნიკოლოზ მეორის ფულთან შედარებით ალექსანდრე კერენსკის ფულს ნაკლები გასავალი აქვს, ამ მხრით მცხოვრებთა მასსა ბევრად უფრო კონსერვატულია, ვიდრე იმ მხრით, როცა იგი სხვა და სხვა რევოლუციურ სიებს ხმებს აძლევს. დღეს დაფარული აღარავისთვისაა ის ფაქტი, რომ ქაღალდის ფულზე დიდი სპეკულიაციაა გამართული: სყიდულობენ ძველ ფულს, მეტს აძლევენ, აგროვებენ და სხვა. თავისთავად ცხადია, რომ „ბონებს“ კიდევ უფრო ნაკლები ფასი ექნებათ ვიდრე კერენსკის ფულს. იმ საერთო მიზეზების გარდა, რომლის გამო კურსი რუსეთის მანეთის თანდათან ეცემა, აქ არის განსაკუთრებული მიზეზიც,—და ეს მიზეზებიც სწორედ ზემო აღნიშნული ორჭოფი მდგომარეობაა კომისარიატის.

კომისარიატი თითქო „თავისუფალი მთავრობაც“ არის და თითქო დამოკიდებულიც. ეს მისი ბუნება გამოსასვლელი „ბონებით“ გახმაურდება. ამიერ-კავკასიაში იქნება ორი ფული: ერთი სრულიად რუსეთის და მეორე მარტო ამიერ-კავკასიის. უკანასკნელს მხოლოდ ამიერ-კავკასიაში ექნება გასავალი. ქაღალდის ფული ერთგვარი ნდობაა სახელმწიფოსადმი,—და ახლა საკითხავია: რომელს უფრო ენდობა მცხოვრებთა მასსა: რუსეთის ხელმწიფებას თუ ამიერ-კავკასიისას? პასუხი ნათელია: მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთის სახელმწიფო დაინგრა, მცხოვრებთა მასსა მაინც მას აირჩევს სანდობლად, სადაც ხელმწიფების ლანდი მაინცაა,—და არა ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომელმაც ხელმწიფების ჩანასახიც ვერ განამტკიცა. აქედან თავისთავად გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ „ბონები“ არა თუ მოსპობენ ფულის კრიზისს, არამედ კიდევ უფრო საშინლად გაამწვავებენ მას.

როცა საკუთარს ფულსა სჭრი, საკუთარი ხელმწიფება უნდა გქონდეს. ასეთი ხელმწიფება ამიერ-კავკასიის კომისარიატს არა აქვს, და ცხადია, არც მის ფულს ექნება მართებული მნიშვნელობა. კომისარიატს რომ საგარეო პოლიტიკა წაეყვანა თავისუფლად და გამბედავად, მაშინ, ვინ იცის, შესაძლოა გარანტიას მოიპოვებდა რომელიმე სახელმწიფოს მხრით. ამგვარი გარანტიით რასაკვირველია გერმეკორის „ბონებს“ მართლაც ნამდვილი მნიშვნელობა მიენიჭებოდათ. ასეთს რთულს მდგომარეობაში, სადაც სახელმწიფო ფულის ნიშანთან ერთად ადგილობითმა ფულის ნიშნმაც უნდა იტრიალოს, ხსენებული გარანტია საუკეთესო საშვალებას წარმოადგენს ფინანსიური ანარქიის შესანელებლად.

გიგა გოლდენდ.

სურსათისათვის

სურსათის საკითხი ჩვენში დღითი დღე უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს.

ყოველივე საქმის გასაკეთებლად უპირველესად საჭიროა, რასაკვირველია, უზრუნველყოფა საჭმელ-სასმელით. თუ ეს ყოველდღიური არსებობის საკითხი არ არის დაკმაყოფილებული ცხადია, რომ მაღალი აზრებიც განუხორციელებელი დარჩება და ვერაფერ საქმესაც ვერ მოაგვარებთ და ვერ მოაწესრიგებთ. ჯერ კერძო პირის ცხოვრებაც ვერ მოეწყობა სასურველად, თუ იგი იძულებულია ყოველდღიური საზრდოსათვის იმ დღეს ირბინოს და იზრუნოს, როცა შიან და უნდა ჭამა. აგრეთვე ის ოჯახი მუდამ არეულ დარეული და მოუწყობელია, თუ კი დღიური ლუკმისთვის ჭამის წინ ფიქრობენ და მაშინ შეუდგებიან მის შოვნა ძიებას. რაღა ითქმის სახელმწიფოზე. იმ სახელმწიფოს არსებობა ყოვლად შეუძლებელია, რომელსაც არა აქვს დღიური სარჩო და რომელსაც მომავლისთვის სათადარიგოდ არა აქვს მომზადებული სურსათი. ეს ცხადია დღესავით. ჩვენ ახალ ცხოვრებას ვაწყობთ. გვსურს ჩვენი საკუთარი სახელმწიფო მოვაწყოთ. მაგრამ ულუკმაპუროდ შეიძლება რამე მოგვარდეს? შეიძლება დაეწყოს ცხოვრება იქ, სადაც ყოველ დღიური ლუკმის საშოვნელად სხვაგან უნდა ირბინო და მაშინ ეძებო და შეიძინო, როცა გამოსაცხობი აღარა გაქვს რა? რასაკვირველია, ასეთს პირობებში სახელმწიფოს არა თუ ახლად მოწყობა უიმედოა, არამედ დიდი ხნის მოწყობილი სახელმწიფოც კი უთუოდ დაიღუპება და დაინგრევა.

ჯერ კიდევ რევოლიუცია არ იყო დაწყებული როცა ჩვენ ვწერდით და ვიძახდით ჩვენმა ხალხმა უპირველესად უნდა სურსათზე იზრუნოს; ყოველივე უწინარეს უნდა თადარიგი სურსათზე იქონიოს, თორემ მომავალი საბრთხეს გვიქადისთქო. როცა რევოლიუცია გამოცხადდა, პირველ დღიდანვე დავიწყეთ მოწოდება ჩვენი ერისადმი, რომ უპირველესი და უმთავრესი საჭიროება ჩვენთვის სურსათით უზრუნველყოფა არისთქო. ჩვენ ვიძახდით და ვწერდით სხვისი იმედი ნუღარ გვექნება, პურს ვერ ვიშოვნით; აღარ მოგვცემენ პურს სხვები და რომც მოგვცენ მოტანის საშვალება არ გვექნებათქო. ჩვენ ამიტომ ხალხს მოუწოდებდით, რომ ყველას ეზრუნა თავის თავზე; რომ ყველას ეფიქრა თავისი ოჯახის სურსათით უზრუნველ ყოფაზე; რომ დაეწმინდათ სხვისგან დახმარების იმედი და რომ თვით შესდგომოდენ თავის თავის უზრუნველყოფის საქმეს და თავის მშველელად და დამხმარედ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი თავი ჰყოლოდათ მხედველობაში და გარეშეთ ცოტა იმედი ჰქონოდეთ. ამიტომ მოუწოდებდით, რომ არავის არ დაეტოვებინოთ დაუმუშავებელი არც ერთი ნაჭერი მიწა: რომ დაეთესნათ პური, სიმინდი, შვრია, ქერი, კართოფილი და სხვა.

ჩვენი ქვეყანა მეურნეობის ქვეყანაა. ჩვენი ქვეყანა არამც თუ შესძლებს თავის რჩენას თავის საშუალებით პირიქით, სხვასაც ბევრს გაუგზავნის. საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ შეგნება ამ საჭიროებისა. თესლი იშოვნება და თუ არ იშოვნება უნდა ვიშოვნოთ. თუ ჩვენმა მეზობლებმა სომხებმა 60,000 ფუთის თადარიგი დაიჭირეს სათესლე ხორბლისა გაზეთების ცნობით, ჩვენც უნდა გვეფიქრნა უპირველესად ამაზედ. მაგრამ ჯერაც არ არის გვიან: სხვა რომ ვეღარა ვიშოვნოთ რა ჩვენში ყველგან მოვა კართოფილი. ყველამ უნდა დასთესოს იგი, რომ შიმშილისაგან უზრუნველ ჰყოს თავისი თავი. ბევრგან არაა ჩვენი ხალხი ჩვეული კართოფილსა, მაგრამ დღეს უნდა საჩქაროთ ისწავლოს და მიეჩვიოს ამას. ერთი ნაჭერი ადგილი მისცემს წლიურ სარჩოს კართოფილით.

დღეს არჩევანის დრო აღარაა: თუ რა უფრო სასიამოვნოა საზრდოთ, დღეს იმის მიხედვით ადგილის დამუშავება არ შეიძლება! დღეს უპირველესად საჭიროა ბარაქიანად, ბლომად მოყვანა სარჩოსი. სიმინდი, პური, კართოფილი, ქერი თუ რამე სხვა იქნება. ვინც თბილისში სცხოვრობს დღეს ამას თავის თვალით ხედავს. ვინ იწუნებს შავ პურს, თუნდაც ცივ მჭადს, ოღონ კი იშოვნოს! კართოფილი ხომ სულ ბედნიერებაა, თუ გაქვს. მაგრამ თუ დღეს ასეა კიდევ ნოვაველი, უარესს გვიქადის. ჩვენი ცხოვრება და მეზობელთა ცხოვრება ნორმალურად ჯერ ვერ მოეწყობა. ჯერ შორსაა ის დრო, და მანამდის თუ ჩვენ სარჩო თავათ არ მოვიყვანეთ, შიმშილით გავწყდებით. თუ ქალაქები საშიშ მდგომარეობაშია, სოფელს კიდევ უფრო მეტი საშინელება ელის.

ვაი იმ სოფელს, სადაც საკმაო სარჩო არ მოვა! ვინ უშველის მას? ქალაქს ათასი გზა აქვს დასახმარებლად; ქალაქს ათასი მდიდარი, ნასწავლი და უსწავლი ჰყავს მაშველად და მზრუნველად, სოფელს კი ვინ უშველის? სოფლელის მშველელი მხოლოდ და მხოლოდ მისი მარჯვენაა და აი ამ მარჯვენის და სხვისი არავისი იმედი არ უნდა ჰქონდეს. ამიტომ, ყოველი ქართველი ვალდებულია თავისი სიტყვით, საქმით, ადგილით (მიწით) ფულით, სათესლე მასალით ხელი შეუწყოს ყოველ მოძმეს. ერის და მოძმის მოღალატეა ის ვისაც ძალუძს ამის ხელის შეწყობა და დაზოგავს რამეს. **ჩვენი პარტიული კომიტეტები ადგილობრივ უნდა ეცადნენ ერთი ნაჭერი ადგილიც არ დაატოვებინონ სოფლელთ დაუმუშავებლად.**

თუ ამ საწადელს მივაღწიეთ, მაშინ ერი შექმნის არამც თუ თავის დამაკმაყოფილებელ სარჩოს, არამედ სხვასაც ზედმეტს დაუთმობს. მაშინ შეუძლია მოაწყოს ცხოვრებაც, როგორც სახელმწიფოებრივი ისე მოქალაქობრივი. უამისოდ ყოველივე ჩვენი ოცნება ფუჭია. ჩვენი საშველი არაა, თუ თითო-ოროლა ვაგონი პურის მოლოდინი გვექნა ჩრდილოეთიდან. თუ ჩვენ საკუთარი სარჩო არ მოვიყვანეთ, ჩვენ არა თუ ვერ შევქმნით თავისუფალ სამშობლოს, ვერ გვეყოლება თავისუფალი პიროვნებაც. მიწა ჩვენში ჯერ სრულიად საკმაოა, რომ ზედმეტი სარჩოც მოვიდეს. არის მხოლოდ საჭირო შეგნება და მოქმედება.

მაშ გავიტანოთ ეს სიტყვა ყოველ კუთხეში; დავარწმუნოთ, დავაჯეროთ ხალხი, რომ მისი გაჭირვებისაგან ხსნა მისსავე ხელშია, რომ საჭიროა მუშაობა. არც მიწების უფასოდ დარიგების პროექტი და დეკრეტი, არც მიწის მომწყობი კომიტეტები, საქმეს არას უშველის, თუ კი დაუყონებლივ არ იქნა დამუშავებული ადგილები. ჩვენში არ უნდა მოიპოვებოდეს ისეთი მოღალატე მემამულე, რომელმაც მსურველთ არ მისცეს სამუშაოდ მიწა და რომელიც არ შეუთანხმდეს თუნდაც სულ მცირედ შემოსავლის ნაწილის მიღებაზე; ჩვენში არ უნდა იყვეს ისეთი მოღალატე ძუნწი ვინმე, ვინც სასესხებლად არ გაიმეტოს მიწის დასამუშავებლად თესლი და ფული!

მაშ გაუმარჯოს ყველა მშრომელს, ვინც ამ სამკვდრო-სასიცოცხლო წუთის დროს არ დაზოგავს თავის ოფლს, თავის ფულს, თავის მიწა-წყალს, რომ უზრუნველ ჰყოს ნოსავლით თავისი თავი, თავისი მოძმე და თავისი მშობელი ერი.

გ. გორდეზიანი.

ქართული პრესა

სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა

იმერეთის საგუბერნიო პარტიული ორგანო „სოციალ დემოკრატი“ სწერს:

ყოველი ჯურის ნაციონალისტი დღეს ნაციონალურ აბჯარს ისხამს და ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს, გადაათვალიერეთ ნაციონალისტური გაზეთები: „სახალხო“, საქართველო“, „მეგობარი“, „ჩვენი ქვეყანა“, „ალიონი“ და თქვენ ამაში დარწმუნდებით. ისინი ყველანი ერთხმად მოუწოდებენ ჩვენს დემოკრატიას **დასტოვონ რევოლიუციონური საბჭოები და თავი მოიყარონ ნაციონალურ საბჭოს გარშემო.** გაზეთი „ალიონი“ ამ თავის ნაციონალურ აღტკინებას სოციალ-დემოკრატიის სახელით ასაღებს. რასაკვირველია, ამ გაზეთის ტაქტიკას იმდენი აქვს საერთო ს.-დემოკრატიასთან, რამდენიც ფედერალისტების ორგანოს „სახალხოს“.

„. დღეს, როცა ასეთი იერიშები მოაქვთ ნაციონალისტებს ჩვენზე, როცა ისინი ყოველი გზით ცდილობენ ჩაითრიონ დემოკრატია ნაციონალურ მოძრაობაში, საწუხაროდ ჩვენი მხრიდან არ სჩანს ისეთი წინააღმდეგობა, როგორსაც საერთოდ წინეთ ვაწარმოებდით ჩვენ მათ წინააღმდეგ და როგორსაც რევოლიუციონური მოძრაობის ინტერესები ამ ჟამად მოითხოვენ. პირიქით ხდება ის, რომ ზოგიერთ შემთხვევებში ნაციონალური საბჭოები ჩვენის დახმარებით მაგრდება, ხოლო რევოლიუციონური ცენტრები—სუსტდება.

ამას ახლავე უნდა მიექცეს ყურადღება და მარჯვნით გადახრილი ჯორი უნდა გასწორდეს. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა, როგორც მარჯვნივ ისე მარცხნით—ნაციონალიზმი და ბოლშევიზმი—ორივე დაღუპვისაკენ მიაქანებს რევოლიუციასა და მუშათა კლასს.

საოლქო ცენტრი და თვით გამორკვევა

გაზეთი „ერთობა“ სწერს:

გაზეთი „იზვესტია“ კავკასიის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საოლქო ცენტრის ორგანო თვითგამორკვევის უფლებას ასე გვიხსნის:

„თვითეულ ერს სრული უფლება აქვს ისე მოაწყოს თავისი ცხოვრება, როგორც მას სურს. მაგრამ არსებულ პირობების მიხედვით ჩვენი დამოკიდებულება თვითგამორკვევის ამა თუ იმ ფორმასთან შეიძლება სხვა და სხვა ნაირი იყოსო“, ამიტომ გაზეთს შესაწყნარებლად მიაჩნია პოლონეთის თვითგამორკვევა და შეუწყნარებლად კავკასიის ერების, რადგან პოლონეთს რუსეთთან შედარებით მაღალი კულტურა აქვს, ხოლო ამიერ-კავკასიის ერები, პირიქით, უფრო დაბლა დგანან.

ჩვენ არ ვიზიარებთ ამ შეხედულებას. ფაქტიურად არ არის მართალი, ვითომ რუსეთის კულტურა საერთოდ უფრო მაღლა იდგეს ამიერ-კავკასიის კულტურაზე. არსებითად, ჩვენ ვერ შევებრძოლებით ერის თვითგამორკვევას, რაგინდ დაბალ საფეხურზე იდგეს ეს ერი.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ რა ნება გვაქვს, მოვითხოვოთ მაგალითად გერმანიის პოლონეთის თვითგამორკვევა, როცა ეს კუთხე კულტურით გაცილებით დაბლა დგას გერმანეთთან შედარებით. „იზვესტია“-ს ლოღიკა არსებითად ბურჟუაზიულ მეცნიერების ლოღიკაა. ჩვენი პარტიული პროგრამა აშკარად გულისხმობს ერთა თვითგამორკვევის უფლებას. მხოლოდ ბოლშევიკებმა განმარტეს პროგრამის ეს მუხლი ისე, თითქოს თვითგამორკვევა ნიშნავდეს სოციალიზმის ახლავე დამყარების აღიარებას.

ზავის გარშემო

ბერნშტეინის წერილი

დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიის თვალსაჩინო წევრმა ბერნშტეინმა, ღია წერილით მიჰმართა რუს-სოციალისტებს, რომელშიც ნათქვამია, რომ ბოლშევიკების მიერ დაწყებულმა საზავო მოლაპარაკებამ თავზარი დასცა გერმანელ სოციალისტების პროპაგანდას.

გაფიცვა გერმანეთში

გერმანულ გაზეთების ცნობით გაფიცვის მოძრაობა გერმანეთში ჯერ არ დასრულებულა. კასელში 30 გიორგობისთვეს გაიფიცა 32 ათასი კაცი, რომელიც სამხედრო იარაღის მზადებაზე მუშაობდა. ამ ჟამად გაფიცულია 20,000 მუშა-კაცი. უკანასკნელი ცნობებით, გაფიცვის მოძრაობა ნელდება.

როგორც ბრესტ-ლიტოვსკიდან იუწყებიან, ბერლინში უკვე შეწყდა გაფიცვა. პროვინციის ქალაქებში, ზოგგან გათავდა, ზოგან ახლა იწყება გაფიცვა. ბერლინში პოლიცია მკაცრ ზომებს უჩენს გაფიცულებს. დემონსტრაციები გრძელდება. მიუნხენში დაპატიმრებულია ცნობილი მწერალი კურეისწერი, დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატი. ბერლინში შეიპყრეს 130 კაცი. პოლიციის საშველად გამოწვეულია ჯარები. ჩამორთმეულ ქაღალდებში ნაპოვნია მოწოდება ამ სათაურით: „რუსეთის მუშათა მთავრობისათვის ევროპას ბურჟუაზიულ მთავრობათა წინააღმდეგ“. ბერლინში მოლაპარაკების საქმე ვერ მიდის კარგად, რადგანაც ადგილობრივი პოლიცია მოლაპარაკებას ჰმართავს პროფესიონალურ კავშირების მთავარ კომისიის წარმომადგენლებთან და არა გაფიცულთა მიერ გაგზავნილ კაცებთან. კელნში, დანციგში, მიუნხენში გამართულია მოლაპარაკება გაფიცულთა წარმომადგენლებთან. ბერლინის ყველა ქარხნები მთავრობის ხელში გადავიდა. მუშები, რომლებიც აღნიშნულ ვადაზე არ მივლენ, დაისჯებიან სამხედრო სამართლით ან ფრონტზე გაიგზავნებიან.

გაფიცვა ავსტრიაში

პეტროგრადი იანვრის 22. „საინფ. სატ. ბიურო“ იუწყება, რომ გერმანეთის მდგომარეობის ამბები აღარ იგზავნება. ავსტრიაში მომხდარი გაფიცვა ჯერ არ დასრულებულა. გაფიცვის ცეცხლი მოედო ყველა ქალაქებს და მათ შორის პრაგასაც.

„კელნის გაზეთი“ სწერს, რომ ავსტრიელ მუშათა განწყობილება პესიმისტურია, რადგანაც გაფიცვა არ იყო საზოგადო. გაზეთი უდიერად იხსენიებს გერმანელ გენერლებს, რომელთაც ომი ასე გააჭიანურეს.

ომი

ინგლისის ცნობა.

ფრონტზე არსებითი არა მომხდარა. ამინდი ოპერაციებს ხელს უშლის.

გემი „ტოსკანა“, რომელზედაც ამერიკელი ჯარები იყვნენ ირლანდიის ნაპირებთან გერმანელების ნაღმოსნებმა დაახრჩვეს. 2,395 კაციდან დაიღუპა 210. დანარჩენები ინგლისელთა კონტრ-ნაღმოსნებმა იხსნეს.

ავსტრიის სამინისტროს გადადგომა

ავსტრიის სამინისტრო გადადგა. მიზეზი დროებითი ბიუჯეტის ოპოზიციაა.

კავკასიის ფრონტზე

ოსმალთა გადმოსვლა კალკიტში

კავკასიის ჯარების მთავარ-სარდალმა აცნობა საოლქო ცენტრს, რომ ვინაიდან შეუძლებელი შეიქნა საჩქაროდ მოხალისეთა რაზმის შედგენა და მუდმივმა ჯარებმა კი მიატოვეს კალკიტი, ოსმალეთის ჯარების სარდალმა ვეხიბ ფაშამ გამოგზავნა კალკიტში ოსმალთა რაზმი, რომელმაც ჩაიბარეს ჩვენი საწყობები და უპატრონოდ მიტოვებული ქონება.

ბოლშევიკების დიქტატურა

პეტროგრადში

ეკლესიის ჩამოშორების დეკრეტი

გამოქვეყნებულია დეკრეტი ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ.

ქალაქის საბჭოს დათხოვნა

იანვრის 18-ს გლეხთა, მუშათა და ჯარისკაცთა საგუბერნიო საბჭომ ქალაქის საბჭო დაითხოვა. მის მაგივრად შესდგა ქალაქის დეპუტატების საბჭო. ერთმა მისმა განყოფილებამ თავს იდვა ქალაქის გამგეობის ფუნქცია.

ებრაელთა კომისარიატის დაწესება

22 იანვარს, პეტროგრადში დაარსდა ებრაელთა ეროვნულ საქმეთა კომისარიატი. კომისრად დანიშნულია სიმონ მარკოს ძე დიმანდ-შტეინი.

სააღგილ-მამულო კომიტეტში

იანვრის 22-ს სააღგილ-მამულო კომიტეტის საკანონმდებლო სექციაში გაისინჯეს კალეგაევის პროექტი. რაკიტნიკოვის გამოსვლის შემდეგ გამოირკვა, რომ უმრავლესობა პროექტს უარყოფით შეხვდა.

მენშევიკების განთავისუფლება.

პეტროგრადი. იანვრის 26. პეტრე-პავლეს ციხიდან გამოუშვეს მენშევიკები: ბოგდანოვი, ერმოლაევი, დ. ვაინშტეინი, ლევიცკი და სხ.

ესერების მოწოდება.

იანვრის 23-ს [illegible] კომიტეტმა მოწოდებით მიჰმართა: პატივით აღნიშნონ 4 თებერვალი, როცა ტერორმა კალიაევმა მოჰკლა დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე. ამ დღისით ადგილობრივი ორგანიზაციებში მოჰკრიფონ ფული პარტიის გასაძლიერებლად.

გზათა კომისრის განკარგულება.

გზათა კომისარმა ნევსკიმ, წინადადებით მიჰმართა რკინის გზათა ორგანიზაციებს, დაუყოვნებლივ გადასცენ რკინის გზის მმართველობა მშრომელთ, როგორც ის გადასწყვიტა რკინის გზის მოსამსახურეთა ყრილობამ.

პურიშკევიჩის გასამართლება

„რეჩ“-ში მოყვანილია პურიშკევიჩის საქმის ანგარიში და სხვათა შორის მისი სიტყვა მოგვყავს შემოკლებით.

პურიშკევიჩის სიტყვა

მე ბრალს მდებენ, ვითომც არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ შეთქმულება მომეწყოს მაგრამ მიკვირს, რომელ წესწყობილებას გულისხმობენ. ეხლა ხომ არავითარი წესწყობილება არ არსებობს, თუნდაც მომეხერხინოს შეთქმულება. მე უდანაშაულო ვარ თუნდაც იმით, რომ არაფერი დანაშაულობა არ ჩამიდენია, რადგან არ არის ისეთი ობიექტი რომლის ძვირის შემთხვევა მე მომესურვოს. თუ რაიმე დანაშაული მიმიძღვის ეს ისაა, რომ მე მონარქისტი ვარ და ამასთან ცხარე მონარხისტი ჩემთვის მონარქი—სიმბოლოა სინათლის, სიმართლის და მთავრობის. მე მეფეს მუდამ მწარე სიმართლეს ველაპარაკებოდი. მე მონარქისტ-იდეოლოგი ვარ. მაგრამ როგორ შევეცდებოდი მონარქიულ წესწყობილების აღდგენას,—რომელიც ჩემის ღრმა რწმენით უეჭველად იქნება აღდგენილი, როდესაც მე არ მომეპოვება ისეთი პირი რომელიც უნდა გახდეს მონარქად. დამისახელეთ ასეთი პირი. იქნებ ნიკოლოზი? ავადმყოფი მეფის წული ალექსის? ანდა ის დედაკაცი, რომელიც ყველაზე ძლიერ მძულს დედა-მიწის ზურგზე? მთელი ჩემი ტრაგიზმი, როგორც მონარქისტ იდეოლოგისა იმაში მდგომარეობს, რომ მე ვერ ვპოვებ რუსეთში ისეთ პირს ვინც მყუდრო ნავთ-საყუდლამდე მიიყვანდეს რუსეთს.

ომის დროს გავიცან პირველად ჩემი უბოროტესი მტერი მილიუკოვი. ეს იყო საზამთრო შენობაში. პირველ ხელის ჩამორთმევის შემდეგვე თავი დავანებე პოლიტიკურ მოღვაწეობას. დავხურე ჩემი მიხეილ არხანგელის კავშირი. და მის შენობაში ლაზარეთი გავხსენი. მე კი ფრონტზე გაველ და რუსის ჯარის კაცის და ოფიცერის სასარგებლოდ ვმუშაობდი. ასე ცხელ-ცხელებიან მუშაობაში გავატარე მთელი დრო 1916 წ. გიორგობისთვემდე. როდესაც შტიურმერმა და რასპუტინმა დიდი საფრთხე განუმზადეს რუსეთს მე შევეცადე იმ საზოგადოების შექმნის, რომლის მიზანიც იყო—თვით რუსეთის მასსას მოეხდინა გავლენა ომის დათავებაზე და ზავის ჩამოგდებაში.

პურიშკევიჩი განაგრძობს თავის ამბავს რასპუტინის მოკვლამდე.

— ჩემი ბრალმდებელნი აქ მიყვიროდნენ: „თუ თქვენ რასპუტინი მოჰკალით—რატომ შემდეგი ნაბიჯიც აღარ გადადგით“. არ ვიცი რა უნდა ეთქვათ ამით. განა მე მეფეც უნდა მომეკლა? არა მე ეს არ შემეძლო, რადგან არ არის იმაზე დიდი დანაშაული როგორც ღვთისაგან ცხებულის მოკვლა.

იმის დასამტკიცებლად რომ იგი არ იყო და არც არის ანტისემიტი, პურიშკევიჩი იგონებს თავის მიმართვას ვინავერისადმი:—მე ხომ ვთხოვდი ვინავერს რომ მას [illegible] და გვეხსნა როგორმე ჯარი დაშლისაგან—რომელიც პირველ ბრძანებამ შეტანა.

მე ვიცოდი თუ რა საფრთხეს უმზადებდნენ ბოლშევიკები რუსეთს და გამოვეც ბროშიურა „წინ“, რაზედაც ეხლა მასამართლებენ ბოლშევიკები. მკათათვეში ბოლშევიკების პირველ გამოსვლის შემდეგ მე სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვით ვამტკიცებდი, რომ საჭირო იყო სამშობლოს სახსნელად და სათათბიროს პრესტიჟის ასაწევად — სათათბიროს ნოვოჩერკასკში გადატანა.

ვხედავდი, რომ სამშობლო იღუპებოდა და დავიწყე გაზეთ „სახალხო ტრიბუნ“-ის გამოცემა, რომლითაც ცხარედ ვებრძოდი როგორც ბოლშევიკების პარტიას, ისე კერენსკის.

მაგრამ გაზეთი დამიხურეს და მეც

მაიძულებს დავმალულიყავ. მალვის და ხეტიალის დროს რამდენიმე ჩემ თანამოაზრეებთან ერთად შევიკრიბენით და გადავსწყვიტეთ პეტროგრადიდან კალედინთან წასვლა.

აი, ამ კრებას უწოდებენ „მონარქიულ შეთქმულებას", რომ დამამცირონ. დამცინიან იმის გამო, რომ დუქნის მოსამსახურის ტანისამოსით დავდიოდი. მაგრამ, რა არის აქ სასაცილო. მართალია მე დუქნის მოსამსახურის ტანისამოსში ვიყავ გამოწყობილი და როდესაც ბოლშევიკები ხიშტებით ტახტ ქვეშ მეძებდნენ მე ხუთ თითზე შედგმულ თეფშით ჩაის ვსხამდი, სანამ უნათებდი ბოლშევიკებს ტახტ ქვეშ და ვეკითხებოდი: „ვის ეძებთ? პურიშკევიჩი აქ არ არის, ის ძაღლი!" თქვენ ყველას იჭერთ და ციხეში სვამთ, ამით თქვენ ბოლო გელებათ. ნუ გეღიმებათ, ეს მართალია. თქვენს მეციხოვნეებს მანამდის ინახავდით, სანამ ყველა თქვენს სიტყვაზე „მართალია"-ს შემოგძახებდნენ. როდესაც ჯარისკაცები გამოერკვნენ თქვენ ლატიშელები გამოიწვიეთ, მაგრამ ახლა ლატიშებმაც გაგიცნესთ, და თქვენი ნდობა ახლა მუშებსა და წითელგვარდიელებზე გადიტანეთ. მაგრამ მალე მუშებიც გაგიცნობენ.

დასასრულ პურიშკევიჩი ამბობს: რუსეთს გერმანეთი დიდ საფრთხეს უმზადებს. საჭიროა წინააღმდეგობის გაწევა. ეს კი ბოლშევიკებს არ შეუძლიათ. ეს ვიცი და არ შემიძლიან ბოლშევიკობას არ ვებრძოლო.

დასასრულ კი უნდა ვსთქვა, რომ მე მწამს სახალხო სასამართლო და მეშინიან მხოლოდ მისი, რომ ამ სასამართლოს განაჩენს ხმალნიდან უკარნახებენ.

მოსკოვში

უმუშევრობა.

მოსკოვში უმუშევრობა ფრთებს ისხამს. უმუშევართა რიცხვი ჯერჯერობით 60.000 სულს აღემატება. პერმიდან იტყობინებიან: ფული დიდიხანია მოისპო. სამი კვირაა, რაც ბანკები დაიკეტა. ქვა-ნახშირის და ნავთის უქონლობით არც ერთი ქარხანა და ფაბრიკა აღარ მუშაობს. უმუშევარნი დიდს სიმშილს განიცდიან.

პროვინციაში

ფული საბჭოებისთვის.

შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ დეპუტატთა საბჭოებისთვის გადადებული: ცარიცინისთვის 1 მილიონი მანეთი, სიმბირსკისთვის 100 ათასი, სარატოვისთვის 3 მილიონი მანეთი.

კაპიტალისტების გადასახადი.

ეკატერინებურგიდან იტყობინებიან: დეპუტატთა საბჭოების სარევოლუციო კომიტეტმა ადგილობრივ კაპიტალისტებს ერთდროულად 1 მილიონის გადასახადი შეაწერა. გადახდილია ჯერჯერობით 119 ათასი მანეთი. მოწინააღმდეგე კაპიტალისტები დაატუსაღეს.

ყირიმში.

ყირიმელი თათრები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ბოლშევიკებს.

კალედინის თვითმკვლელობა.

როსტოვიდან მიღებულია ცნობა, რომ ქ. ნოვოჩერკასკში 24 იანვარს, დილით, თავის ბინაზე იპოვეს დახვრეტილი გულით გენ. კალედინი.

თავის უკანასკნელ მოწოდებაში, გენერალი კალედინი ამბობს:

„თუ ყაზახობას არ ჰსურს ჰყვანდეს ნოვოჩერკასკში ბოლშევიკების ბრბო და სიზმარ-ოცნებად გადააქციოს ყაზახთა თავისუფლება, დევ გამოიშუროს რევოლუციის და თავისუფლების მტრებთან საბრძოლველად ჩემი. სამსახური დარჩება ჩემთვის როგორც მოვალეობა და ეს იქნება ჩემთვის მძიმე ტვირთად. სალაშქრო ატამანის მოვალეობას ასრულებს გენ. ნაზაროვი. ახალგაზდა ყაზახობას კალედინის სიკვდილით ემჩნევა შური ძიება ბოლშევიკებისადმი.

უკრაინა

რადის ბარიკა.

კიევი. 20 იანვარი. უკრაინის ჯართა უფროსი ხაზულია და ძველი რადის უფროსი მდივანი პროფესორი გრუშევსკი კიევიდან გაიქცნენ. ბოლშევიკებმა შეიპყრეს ვინნიჩენკო, პეტლიურა და პოსტელენკო. დაპყრილია ახალ რადის წარმომადგენელი ოდესსკი-ც. კიევში უკლება ხელთ იგდეს გლეხთა დეპუტატების საბჭოებმა. ქალაქში გავრცელდა ძარცვა-გლეჯა. უკრაინის რესპუბლიკის ჯარები კოცუბინსკის მეთაურობით შევიდნენ კიევში და შეუერთდნენ კიევის მეცხოვნეთ, რომელთაც კიევიდან განდევნეს რადის მთავრობა და გადავიდნენ საბჭოთა მხარეზე.

უკრაინის დამფუძნებელი კრება.

იანვრის 21-ს კიევში უნდა გაეხსნათ უკრაინელთა დამფუძნებელი კრება. დამფუძნებელ კრების შემადგენლობაში ბოლშევიკები არ ურევიან. ცენტრალ კომიტეტის და უკრაინის სარევოლუციო შტაბის წევრთა აზრით, ბოლშევიკების განდევნით საქმე გართულდება, რადგანაც ისინი უკრაინაში დიდი სახელით სარგებლობენ.

უკანასკნელი დეპეშები

იანვრის 31-ს ეკატერინოდარიდან პირდაპირი მავთულით შეატყობინა ნ. რამიშვილს ყუბანის ოლქის მთავრობის რწმუნებულმა: ყუბანზე იერიში მოაქვთ ბოლშევიკებს. ეკატერინოდარისკენ მოტანილი იერიშები ნოვოროსიისკის, ტიხორეცკის და კავკასიის მხრივ მოგერიებულ იქმნა. ქალაქში საწყობები და ყველანი დაიმედებული არიან ბოლშევიკების დამარცხებაში.

—

როგორც ამიერ-კავკასიის კომისარიატს ატყობინებენ თავრიზიდან, რუსის ჯარების წამოსვლის შემდეგ სპარსეთში ბნელი ძალები პროვოკაციას ეწევიან თურმე და შუღლს და მტრობას სთესენ სხვა და სხვა ეროვნებათა შორის. ჯერ-ჯერობით დიდი განხეთქილება აუტეხნიათ რუსებსა და სომხებს შორის.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მიტინგი.** კვირას, თებერვლის 4, ახალ კლუბში, დილის 11 საათზე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი მართავს მიტინგს, რომელზედაც სიტყვებს წარმოსთქვამენ ასათიანი ალექსანდრე, გვაზავა გიორგი, ვეშაპელი გრიგოლ, მაჭავარიანი ისებ, ქარუმიძე შალვა და აგრეთვე სხვანი. მიტინგის საგანია „საქართველოს განსაცდელი და ეროვნული დემოკრატია".

◆ **ბოლშევიკების ჯარის წასვლა ნავთლუღიდან.** გუშინ სადგურ ნავთლუღზე მდგარი ბოლშევიკური ჯარი რუსეთისაკენ გაემგზავრა.

◆ **ერთგულების გამოცხადება.** გუშინ, შუადღის 1 საათზე, სასახლესთან მივიდა სომხური ცხენოსანთა პოლკი, რომელმაც ამიერ-კავკასიის კომისარიატს სრული ნდობა გამოუცხადა და აღუთქვა ბოლომდის მხარის დაჭერა. ევგენი გეგეჭკორმა პოლკს მოუწოდა მედგრად დაიცვან ამიერ-კავკასია და თავისუფლება.

◆ **წითელ გვარდიის რაზმების ჩამოსვლა.** ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნიაში შემდგარი წითელ გვარდიელთა რაზმები. ჩამოსულ გვარდიელთა რიცხვი 6000 აღემატება. ამ დღეებში იქიდანვე მოელიან კიდევ რამდენიმე რაზმს.

◆ **ბონების გამოშვება.** საბოლოოდ გამოირკვა რომ ამიერ კავკასიის ბონები თებერვლის 7 ან 8-ს გამოვა. პირველად გამოუშვებენ 50 მილიონ მანეთისას. აღნიშნულ რიცხვეში გამოვა 100 მანეთიანები. სხვა ღირებულების ბონების გამოშვება ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო გვიანდება. ამჟამად სახელმწიფო ბანკს ადგილობრივ განყოფილებაში შეტანილ ფულს არავის აძლევენ. მსხვილ ფულს კი მხოლოდ მარკებით ახურდავებენ.

◆ **ინგლისელთა შტაბი და ბანკი თბილისში.** ამ დღეებში თბილისში ჩამოვა ინგლისელთა 25 შტაბის ოფიცერი. უკვე დაქირავებულია ბინა შტაბისთვის. მოკლე ხანში დაარსდება ინგლის-კავკასიის ბანკი. ინგლისის საფინანსო აგენტი ქერმანშაჰში (სპარსეთშია) ამ მიზნით უკვე ჩამოვიდა თბილისში.

◆ **სპარსეთის საზღვრების დაკეტვა.** კავკასიის ჯარის შტაბის უფროსმა გენ. ლევანდოვსკიმ ამიერ კავკასიის კომისარიატს შეატყობინა, რომ სპარსეთის მთავრობამ თავის სახელმწიფო საზღვრები დაჰკეტა რუსეთისა და მის მოკავშირეებისთვის. ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ამ საქმის გამოძიება მიანდო საგარეო საქმეთა კომისარს.

◆ **დახმარება ქალთა უმაღლეს კურსებს.** ამიერ კავკასიის კომისარიატმა დაადგინა 50000 მანეთი გადაეცეს თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებისთვის.

◆ **დარიალის დაპყრობა ქართული ჯარის მიერ.** პოდპოლკოვნიკი აბესაძე მცხეთიდან დეპეშით ატყობინებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ დარიალის ხეობა მისი მეთაურობით იანვრის 29 ქართულმა ჯარმა დაიპყრო. კავკავთან მისვლა წესიერად სწარმოებს.

სასურსათო საქმეები

◆ **სურსათ-სანოვაგე.** თებერვლის 1-ს სასურსათო გამგეობას მოუვიდა: ფქვილი 1 ვაგ., ხორბალი 5 ვაგ., ქერი 2 ვაგ., ლობიო 1 ვაგ. და კარტოფილი 1 ვაგონი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **მეორე რაიონის კრება.** პარასკევს, თებერვლის 2 დილის 11 საათზე მოხდება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მეორე რაიონის წევრთა კრება. კრების საგანია: 1) მოხსენება კონფერენციის შესახებ, 2) მიმდინარე მომენტი და 3) არჩევნები რაიონის კომიტეტისა და რამდენიმე სხვა წევრთა.

◆ **საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საგნობრივ კომისიის** სხდომა მასწავლებლებისა და სპეციალისტების თანადასწრებით მოხდება კვირას, თებერვლის 4, დილის 10 საათზე პირველ გიმნაზიის შენობაში.

◆ **თბილისის მაზრის კოოპერატივთა ყრილობა.** დღეს, დილის 12 საათზე საქართველოს ეროვნულ საბჭოს ბინაზე, ფრეილინის ქუჩა, გაიხსნება საფინანსო სექციის მიერ თბილისის მაზრის კოოპერატივთა წარმომადგენლების ყრილობა.

საქართველოს ეროვნული საბჭო

◆ **საბჭოს კრება.** კვირას, თებერვლის 4, დილის 12 საათზე შესდგება ეროვნულ საბჭოს კრება. განსახილველი საგნები: 1. მოხსენება თბილისის სათავადო-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მდგომარეობის შესახებ. 2. სექციების წარმომადგენლების მოხსენებანი. 3. საზოგადო მზრუნველობის სექციის დაარსება. 4. 500,000 მან. სესხის აღება. 5. მიმდინარე საკითხები.

◆ **აღმასრულებელი კომიტეტის** სხდომა შესდგება დღეს, დილის 11 საათზე.

◆ **სატეხნიკო სექციის სხდომა** შესდგება დღეს, დილის 11 საათზე.

◆ **ხელოვნებათა სექციის სხდომა** შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე.

პროვინციის ქრონიკა

ქუთაისი

◆ **მისასალმებელი დეპეშები ქართულ უნივერსიტეტს.** გაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციამ და საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა.

ზესტაფონი

◆ **მიმავალ ეშელონების უწესოება.** 25 იანვრის დილით, ბათუმიდან მიმავალმა ეშელონებმა ზესტაფონის სადგურთან, სროლა ასტეხეს, ფანჯრების მინებს ამტვრევდნენ. ხალხი შიშის ზარმა მოიცვა. მოვაჭრეებმა მაღაზიები დახურეს. სროლის დროს მსხვერპლი არ ყოფილა.

ჭიათურა

◆ **პარტიული სარაიონო ყრილობა.** თებერვლის პირველ რიცხვებში ქ. ჭიათურაში მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჭიათურისა და საჩხერის რაიონების პარტიული ყრილობა. დაესწრებიან მთავარ და საგუბერნიო კომიტეტების წარმომადგენლები.

ომის გათავება

მთავარ სარდალმა კრილენკომ შემდეგი რადიო-ტელეგრამა დაუგზავნა ყველა ფრონტის ჯარს 29 იანვრის თარიღით.

გერმანელმა კაპიტალისტებმა, ბანკირებმა და მემამულეებმა, რომელთაც მხარს უჭერდა ინგლისის და საფრანგეთის ბურჟუაზია, ისეთი საზავო პირობები წაგვიყენეს ჩვენ ამხანაგებს ბრესტში, რომელსაც რუსეთის დელეგაცია არას შემთხვევაში არ მოაწერს ხელს. ავსტრიის და გერმანიის მთავრობებს უნდათ და უფლონ ის მიწა-წყალი და იმ ერებზე გაბატონდნენ, რომელნიც მათ შეიარაღებულმა ძალით ჩაიგდეს ხელთ. რუსეთის სახალხო მთავრობა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დათანხმდება ამაზე.

ჩვენ არ შეგვ ძლიან ხელი მოვაწეროთ ისეთ ზავს, რომელსაც მოაქვს მხოლოდ მწუხარება და დამონება მრავალი მილიონის მუშისა და გლეხისათვის. მაგრამ არც ომის გაგრძელება შეგვ ძლია, რომელიც დაიწყო მეფეებმა და კაპიტალისტებმა—კაპიტალისტებსა და მეფეებთან შეკავშირებულებმა; ჩვენ არ გვინდა და არც ვაწარმოებთ იმ გერმანელ და ავსტრიელ მუშებსა და გლეხებთან, რომელნიც ჩვენსავე პირობებში იმყოფებიან. ჩვენ არ ვწერთ ხელს მემამულეებისა და კაპიტალისტების საზავო პირობებზე! დეე, იცოდენ გერმანელ და ავსტრიელ ჯარისკაცებმა, ვინ სდევნის მათ, რისთვის ერეკებიან მათ ომის ცეცხლში. დეე, იცოდენ, რომ ჩვენ უარს ვამბობთ მათთან ბრძოლაზე, ამის გამო, ჩვენმა დელეგაციამ თვისი პასუხისმგებლობის სრულის შეგნებით რუსის ერის და სხვა ქვეყნების დამონებულ მუშებისა და გლეხების წინაშე, ამა წლის 28 იანვარს განაცხადა შემდეგი: რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკის მთავრობა ამით აუწყებს სახალხო კომისარების საბჭოს სახელით ყველა მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოს, რომ ის უარს ამბობს, ხელი მოაწეროს ანექსიონისტურ ხელშეკრულებას. რუსეთი თავის მხრით აცხადებს, რომ საომარი განწყობილება გერმანიასთან, ავსტრია-უნგრეთთან, ოსმალეთთან და ბოლგარეთთან დღეიდან აღარ არსებობს და ომიც მათთან დასრულებულია.

რუსეთის ჯარებს ეძლევათ ამასთანავე ბრძანება სრულ დემობილიზაციის თაობაზე მთელი ფრონტის ხაზზე. ბრესტ-ლიტოვსკი 10 თებერვალი 1913 წ. (ახ. სტ.)

ხელს აწერენ: თავმჯდომარე რუსეთის სამშვიდობო დელეგაციისა, გარეშე საქმეთა კომისარი ტროცკი. დელეგაციის წევრნი ა. ბიცენკო, იოფფე პოკროვსკი, უკრაინის მთ. დელ. ქ. მედვედევი, უკრაინის რესპუბლიკის სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი შახრაი, დელეგატის მდივანი ტარხანი.

ამასთანავე მოგიწერთ დაუხანებლივ მიიღოთ ზომები, რათა ჯარებს გამოეცხადოს, რომ ომი გერმანიასა, ავსტრიასა, ოსმალეთსა და ბულგარეთთან ამიერიდან დასრულებულია.

არავითარ სამხედრო მოქმედებას დღეიდან ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს. ამითვე ვაცხადებთ ყველა ფრონტზე საზოგადო დემობილიზაციის დასაწყისს. ფრონტების და არმიის შტაბებს ებრძანება მიიღონ ზომები, რომ ბრძოლის წინაპირიდან დაიძრან ჯარი და სათანადო რიგად გადაიყვანონ, რომ შემდეგში, თანახმად სადემობილიზაციო გეგმისა, რუსეთის შუაგულში გაგზავნილი იქმნენ.

საზღვრის ხაზების დასაცავად გამოიყოს დროებითი ნაწილები იმ ჯარის კაცებისგან, რომელთაც უკანასკნელ წლებში უნდა ემსახურნათ.

ამხანაგო — ჯარისკაცნო! გთხოვთ მშვიდობიანობა დაიცვათ, მოთმინებით ელოდოთ იმ ჟამს, როცა მისი წლისანი სახლში დაბრუნებულნი იქნებიან, გარდა ამისა იზრუნეთ, რომ მილიარდებად ღირებული სახალხო ქონება საარტილერიო და სხვა საწყობებში იქნეს მიტანილი, გახსოვდეთ, რომ მარტო მაშინ, როცა შესრულებული იქნება ეს გეგმა, შეგეძლებათ სახლ-კარს დაუბრუნდეთ... ამასთანავე არ დაარღვიოთ სარკინიგზო მიმოსვლა, სურსათის მოტანა არ შეაფერხოთ იმ ჯარებისთვის, რომელნიც დროებით ფრონტზე იქნებიან. 1 თებერვალს სახლში უნდა დაბრუნდნენ 1908 და 1909 წლებში გაწვეულები, დანარჩენ წლებში გაწვეულთა დაბრუნება ცალკე დამატებით გამოიცემა. ყველა საჯარისკაცო არჩეულ ორგანიზაციებს, საკომანდო სრულ შემადგენლობას ებრძანება მიიღოს ზომები, რომ რაც შეიძლება მიზანშეწონილად იქნეს შესრულებული და გამოცხადებული დემობილიზაცია.

უმაღლესი მთავარ-სარდალი
კრილენკო

29 იანვ. 1918 წ.

ბოლშევიკების საგრალმდებლო ომი

(შამქორის ამბები და ჟორდანია)

1918 წლის იანვრის პირველ ნახევარში განჯის რკინის გზის ხაზზე მრავალრიცხოვანმა შეიარაღებულმა მაჰმადიანთა ბრბომ განჯის მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოს მეთაურობით და ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ გაგზავნილმა ჯავშნიანმა მატარებელმა იარაღი აჰყარა რუსეთში მიმავალ ჯარს. სხვათა შორის, მოკლულია და დასახიჩრებულია 1000 ჯარისკაცი. მათი გვამებით დაფენილია რკინის გზის ხაზი. მათ თავის წაართვეს 15 ათასი თოფი, 70 ტყვიისმფრქვეველი და 20 დე-ზარბაზანი. რუსეთის რესპუბლიკის ცენტრალი მთავრობის სახელით ვაცხადებ სასტიკ გულისწყრომას ამ უდიერ საქციელის გამო. დაიღვარა სისხლი იმ ჯარისკაცთა, რომელნიც იცავდნენ კავკასიის საზღვრებს და რომელთაც ათიათასობით ამხანაგები დასტოვეს სომხეთის მთებში. ამასთან წართმეულია იარაღი, რომელიც ეკუთვნის რუსეთის რესპუბლიკას. ამ საქციელის დამნაშავენი უნდა დაისაჯონ შეუბრალებლად.

ამიერ-კავკასიას უფლება აქვს აყრილი იარაღის ნაწილი დაიტოვოს ფრონტის დასაცავად, მაგრამ ამაზე დასტური უნდა მიიღოს ცენტრალ სახელმწიფოსაგან. ამასთან იარაღი უნდა მიეცეთ არა კონტრ-რევოლუციონურ ეროვნულ საბჭოებს, როგორიცაა მაჰმადიან ბეგების ეროვნული კომიტეტი ელისავეტპოლში, არამედ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს. სახალხო კომისრების საბჭოს ჯარებს მოვუწოდებ, არავითარ შემთხვევაში არ ჩაუგდონ იარაღი მოძალადეთ ხელში.

კავკასიის საქმეთა კომისარი
ს. შაუმიანი.

მობილიზაციის დეკრეტი

1899 წელში დაბადებულნი დაუყოვნებლივ უნდა იქმნან გაწვეულნი ჯარში 6 თვით გარდა იმ პირებისა, რომელთაც პირველი რიგის შეღავათი აქვს ოჯახის გარემოების გამო.

ჯარში გაწვევა არ აცდებათ ყველა ტიპის მასწავლებლებს და მოსწავლეებს და აგრეთვე ყოველგვარ სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა მოსამსახურეებს. ყოველგვარი შეღავათი, რომელიც ვისმეს შეღავათს აძლევდა, გაუქმებულია, გარდა შეღავათისა ავადმყოფობის გამო. გაწვეული არ იქნებიან ლტოლვილნი იმ ადგილებიდან, რომელნიც მტერმა დაიპყრო.

გაწვევა დაიწყება ამა 1918 წლის თებერვლის 15-ს და ამ დღეს ყველანი უნდა გამოცხადდნენ საგუბერნიო და სამაზრო კომისიების მიერ აღნიშნულ ადგილებს.

თავმოსაყრელ პუნქტებში გასაწვევთ შეამოწმებს სამაზრო სამხედრო ინსპექცია, რომელშიაც ეროვნულ ლაშქართა ნაწილების მხრითაც იქნებიან წარმომადგენელნი წევრებად.

ყველანი, ვისაც სამსახურში ჩარიცხავენ, განაწილებულ იქნებიან ლაშქრის ნაწილებში თანახმად შემუშავებულ გეგმისა.

ყველა მიმსვლელმა თან უნდა მიიტანოს 3 დღის სამყოფი საგზალი.

ვინც სამსახურს დაემალება, ძალად გაიწვევენ და 6 თვის სამსახურის შესრულების შემდეგ 1 წლით იქნებიან დაპატიმრებულნი.

თანამდებობის პირნი, რომელნიც გასაწვევთ ხელს შეუწყობენ სამსახურს დაემალონ, დაპატიმრებულ იქმნებიან 3 თვიდან 1 წლამდე.

დაწესებულებათა და სავაჭრო-სამრეწველო სახლების ადმინისტრაციები და აგრეთვე სახლების პატრონები ვალდებული არიან გასინჯონ მოსამსახურეთა და მდგმურთა ქაღალდები, რათა სამხედრო სამსახურს არავინ დაემალოს.

მეორე დეკრეტი.

ვისაც მიმდინარე წლის იანვრის 1-ს 25 წლამდე შეუსრულდა და სამსახურში არც უკვე გაწვეული არიან არც გასაწვევია და მოკლე ვადით სახლში არიან [illegible] მახლობელ სამხედრო [illegible] თებერ[illegible] ლი [illegible] ლაშქრის ნაწ[illegible]

შაუმიანის მანიფესტი

იანვრის 31-ს ბოლშევიკებმა გამოსცეს პირველი ნომერი სახალხო კომისართა საბჭოს კავკასიის უწყება. უწყებაში ბოლშევიკების სხვა და სხვა დეკრეტების გარდა დაბეჭდილია შაუმიანის მანიფესტი. შაუმიანი აცხადებს, რომ იგი 1917 წ. ქრისტეშობისთვის 18-დან დანიშნულია კავკასიის საქმეთა კომისრად კავკასიაში საბჭოთა მთავრობის შექმნამდის. იგი სხვათა შორის სწერს: საბჭოთა მთავრობა კავკასიაში დაუყონებლივ უნდა შესდგეს. არსად რუსეთში რევოლუციის საქმე ისე საფრთხეში არ არის როგორც კავკასიაში.

ბურჟუაზიულ მებატონეთა მთავრობა, რომელიც რუსეთში ჩამოაგდეს, კავკასიაში ისევ სცოცხლობს.

ინტერნაციონალურ დემოკრატიულ და რევოლუციონურ მუშათა და გლეხთა საბჭოების მაგივრად ჩვენ გვაქვს რეაქციონური ბურჟუაზიული ეროვნული საბჭოები, რომლებიც ეროვნულ მთავრობათა როლს [illegible] ნაციონალისტურ პოლიტიკას [illegible] კავკასია კონტრრევოლუციისკენ მიექანება.

მაჰმადიანთა ბეგების, ხანების, ქართველთა თავადების და აზნაურების, და სომეხთა ბურჟუაზიულ ელემენტების შეთანხმებულ პოლიტიკას გამო შეუძლებელია რაიმე რევოლუციონურ ზომის გატარება.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი შეშინდა იმ ანარქიით და კონტრ-რევოლუციით, რომელიც შექმნა თავის პოლიტიკით. სეიმი, რომელიც იანვრის 22 გაიხსნა უკვე უმწეოა. სეიმი არ სცნეს საჭიროდ ბოლშევიკების გარდა თვით სოციალისტ-რევოლუციონერებმა და „დაშნაკცუტუნის" პარტიამ.

მეორე მხრივ, მოთმინებიდან გამოსული მაჰმადიანი გლეხობა აჯანყდა და უწყალოდ ხოცავს ხანებს, ბეგებს და მემამულეებს.

ეროვნებათა შორის ბრძოლის ასაცილებლად ერთად-ერთი ხსნა—ეს კავკასიაში საბჭოთა მთავრობის შექმნაა.

მთელ რუსეთში მყარდება საბჭოთა რესპუბლიკა. ახლა კავკასიაში იწყება ბრძოლა საბჭოთა მთავრობისათვის.

დასასრულ შაუმიანი მოუწოდებს:

ამხანაგებო, მუშებო, ჯარისკაცებო და კავკასიის გლეხებო! მოგიწოდებთ თქვენივე ცხოვრების მოწყობისათვის. მოაწყეთ საბჭოები. კავკასიის „სეიმს" კი არ შეუძლიან იხსნას კავკასია განსაცდელისაგან, არამედ მუშათა და გლეხთა საბჭოთა რესპუბლიკას.

მე მივმართავ ბაქოს, თბილისის, გროზნის და სხვათა საბჭოებს, მალე მოიწვიონ კავკასიის ყველა საბჭოთა ყრილობა ცენტრალ, ავტორიტეტულ საბჭოთა მთავრობის შესადგენად.

შაუმიანი და თათრის გლეხობა

შაუმიანი მანიფესტით მიჰმართავს თათრის გლეხობას, რომლითაც მოუწოდებს განთავისუფლდნენ ხანების, ბეგების და მემამულე-ოლდარების მონობისგან.

ის ამბობს, რომ ბოლშევიკები ჭეშმარიტი მეგობრები არიან მაჰმადიანობისა და სიამოვნებით აღნიშნავს თათრებში დაწყებულ მოძრაობას. ამისთვის ესალმება მათ მოქმედებას და მათგან ბეგთა მიწების ჩამორთმევას. ამასთან ურჩევს, არ დახოცონ ხანები, ბეგები და მათი ცოლ-შვილი, არც წვან მათი ქონება, რადგანაც ქონების ჩამორთმევის შემდეგ, ისინი საშიშნი აღარ იქნებიან, გადარჩენილი ქონება კი გლეხობას დარჩება. ჩამორთმეული ქონება ეკუთვნის გლეხობას და არა ცალკე პირებს, რადგანაც მათ შეუძლიათ გახდენ ახალ ბეგებად და სხვ. სხვათა შორის შაუმიანი ამბობს: „იცოდეთ, რომ თქვენი ამბოხება იყოს საზოგადო რომ მაჰმადიანმა გლეხობამ ყველგან ხელთ იგდოს მემამულეთა მიწები. შემდეგ ნათქვამია: „დაიარსეთ სახალხო კომიტეტები, რომელთაც ეს მიწები უნდა ჩაიბარონ. თქვენი ბეგები არა ერთხელ გასისინებდნენ სომეხ გლეხთა წინააღმდეგ და თქვენც ხშირად გიჟლეტიათ ერთმანეთი! კმარა! იგინიც თქვენსავით არიან [illegible] თავის [illegible]

და [illegible] მაჰმადიანთა ახალი სახელმწიფოთ. მაჰმადიანთა თავისუფლების საწინააღმდეგო არა აქვს რა ახლად შემდგარ მუშათა გლეხთა მთავრობას. პირიქით იგი ნებას აძლევს ყველას, მოაწყოს თავისი ცხოვრება, როგორც ჰსურდეს. თქვენი მეგობრები კი გაცდენენ. იმ ჯარსაც კი, რომელსაც ახლა აწვენენ თქვენვე მოგისევენ და მიწებს დაიბრუნებენ. ამისთვის, განდევნეთ ისინი კომიტეტიდან და ნებას ნუ აძლევთ ილაპარაკონ მაჰმადიანთა სახელით. ამოირჩიეთ კომიტეტში თქვენი კაცები, რომ დაიცვან თქვენი ინტერესები. ძირს ხანთა და ბეგების საუკუნოებრივი მონობა"!

ამიერ-კავკასიის უკრაინელთა მოწოდება

ამიერ-კავკასიის ხალხნო!

უკრაინელო გლეხებო, მუშებო და ჯარისკაცნო! სრულიად უკრაინელთა

გაერთიანებულმა სარევოლუციო დემოკრატიამ, დღიდან რევოლუციისა, მხნე და მუყაითი მუშაობით მიაღწია უმაღლეს სახელმწიფოებრივ წყობილების ფორმებს, რომლითაც გატარდება დიდი სოციალ-ეკონომიური რეფორმები. ამასთანავე უკრაინის დემოკრატიამ, უკრაინის სარევოლუციო პარლამენტის და ცენტრალ რადის სახით განახორციელა უკრაინაში მცხოვრებ უმცირესობის იდეალებიც. თავის მესამე უნივერსალში კი ჯერ კიდევ გიორგობისთვის 7-ს, 1917 წელს, ცენტრალ რადამ აღიარა ეროვნული ავტონომია, რაც დამტკიცდა მე-4-ე უნივერსალით. ეს გარემოება აძლევს შემთხვევას ყველა ეროვნულ ჯგუფს და თვითეულ პიროვნებასაც კი, ეროვნული ცხოვრება მოაწყოს ისე, როგორც ამას მოითხოვს მისი ეროვნული ინტერესები.

ამას ჰქონდა ის მიზანი, რომ უკრაინაში ყველა ყოფილიყო თავი უფალი, რომ ყველას ჰქონოდა შემთხვევა განძლიერებინა თავისი სულიერი სიმდიდრე უკრაინის რესპუბლიკის და მთელი კაცობრიობის სასარგებლოდ რათა უკრაინის სხეულზე არ ყოფილიყვნენ ისეთი წყლულებანი, რომლითაც იყო დამახინჯებული ისედაც ავადმყოფი სხეული რუსეთისა.

ძმანო ქართველებო, მაჰმადიანებო, სომხებო და ამიერ-კავკასიის ხალხნო! მეგობრულად უკრაინელთა დემოკრატია მოგმართავთ მხურვალე მოწოდებით.

დე იქმნას ცნობილ ამიერ-კავკასიაშიც, რათა არ მოგვიხდეს აქედან ლტოლვა როგორც ჯოჯოხეთიდან სამოთხეში—ყველა პატარა ერებს და ისე უკრაინელებსაც. ჩვენ გვსურს თქვენთან ერთად მივიღოთ მონაწილეობა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივ მოწყობაში. ჩვენ არა ვართ დამნაშავე, რომ დავიჭირეთ თქვენი საცხოვრებელი მიწები და მივეჩვიეთ თქვენთან ცხოვრებას. ჩვენ, ჩვენი მამები გამოდევნეს წმინდა უკრაინიდან მსახურთა მეფისათა და მიწა ჩვენი გაუნაწილეს სხვას.

არა ვართ დამნაშავენი არც ჩვენ, ვინც ვმსახურობთ რკინის გზაზე და ტელეგრაფის დაწესებულებებში. ჩვენ გამოგვგზავნეს იმავე მეფის მსახურთა, არ მოგვცეს შემთხვევა გვემუშავნა საყვარელ სამშობლოში, გადაგვიყვანეს უცხო ქვეყანაში, ხოლო ჩვენ სახლებში ჩაიყვანეს უცხონი, რომლებიც მოგზავნეს რუსიფიკაციისთვის.

ყველა ამაში ჩვენ კი არა ვართ დამნაშავენი, არამედ ძველი რეჟიმი, რომელმაც უნდა აგოს პასუხი.

ამასთან კერძო თავდასხმით, გადაგვიწვეს სოფლები, ოჯახები, დაგვიწიოკეს ცოლშვილი, განგვიძარცვეს ქონება და ძველი რეჟიმის ქცევისათვის, ჩვენ გვაბრალებენ სამაგიეროს. სამართალია თუ არა? ხომ არიან ჩვენს უკრაინაშიც, იმავე მეფის კაცებისგან გადასახლებული ქართველები, სომხები, მაჰმადიანები და სხ. მათ არვინ სდევნის უკრაინაში და ისინი პასუხს არ აგებენ ძველი რეჟიმის უგვანო მოქმედებისთვის.

დე იქმნეს ცნობილ, მუდმივად დავალება ყველა ერისთვის. დე ამოვისუნთქოთ ჩვენც თავისუფლად, როგორც თქვენი ძმები ჰსუნთქავენ საყვარელ უკრაინაში. მოგვეცით იმედი, რომ დავრჩებით ცოცხლები და ამალ მშვიდად გადავრჩებით, როგორც დარწმუნებულნი არიან თქვენი ძმები უკრაინაში, სადაც თავის გამარჯვებას დღესასწაულობს უკრაინის სარევოლუციო დემოკრატია.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შეგვეძლება მივიღოთ სამშობლო უკრაინიდან ის, რასაც თქვენთან ერთად ჩვენ ვსაჭიროებთ. რუსეთის ყოფილი ბეღელი—უკრაინა, რომელსაც ანგარიშს უწევენ ყველა სახელმწიფოები და რომელიც მდიდარია პურით, შაქრით და სხვა, სიამოვნებით გამოგვიგზავნის ტვირთს და ჩვენც თქვენთან ერთად გავიყოფთ მას ამ შიმშილობაში.

დე ნურც ერთი უკრაინელი გლეხის კვნესა მუღანიდან თუ ალაზნის გაღმიდან ნუ მიაღწევს მშობელ უკრაინამდე!

გაუმარჯოს მშვიდობას და ხალხთა ძმობას! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის დემოკრატიას! გაუმარჯოს უკრაინის კავშირს ამიერ-კავკასიის სახალხო რესპუბლიკასთან!

უწამლობა კავკასიაში

ამ დღეებში მეაფთიაქრეთა ამხანაგობის საქმეების გამგემ კ. ს. სარქისოვმა მოიწვია მეაფთიაქრეთა კერძო თათბირი. ითათბირეს უწამლობაზე. კ. სარქისოვმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება, რომლითაც ნათლად დახატა ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც ჩავარდება კავკასია გაზაფხულზე, ვინაიდან სრულიად მოწყვეტილია ცენტრს და არსაიდან არავითარი წამალი არ მოდის. გაითვალისწინეს რა მდგომარეობა მოთათბირეთ დაადგინეს: 1) ვრცელი მოხსენება წარედგინოს ამიერ-კავკასიის კომისარიატს. (ეს მოხსენება წინასწარ ეცნობოს ადგილობრივ აფთიაქების პატრონებს) და ეთხოვოს, რომ გზების გახსნის დღიდან აუცილებლად საჭიროდ იცნონ მედიკამენტების და სადეზინფექციო საშუალებათა შოვნა.

2) გვაქვს რა მხედველობაში, რომ გზების გახსნა არც ისე მალე მოხდება—კერძო თათბირზე დამსწრეთ დაადგინეს ეთხოვოს ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რათა ახლო მომავალში მოწვეულ იქმნას საგანგებო თათბირი რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სამკურნალო უწყების და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, იმ მიზნით, რომ იქნეს გამონახონ რაიმე საშუალება და ამ დემობილიზაციისა და ლაზარეთების დახურვის დროს კავკასიის მეაფთიაქრეთა ამხანაგობას მიეყიდოს ყოველივე მედიკამენტები და სადეზინფექციო საშუალებანი.

სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოდ

ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილებით წარსული 1917 წ. 1 ოქტომბრიდან სახალხო მასწავლებლებს ძირითად ჯამაგირად მიეცემათ თვეში 120 მან. და სამხედრო დამატების სახით 90 მ. ამნაირად სახალხო სკოლის მასწავლებლის ქონებრივი მდგომარეობა წარსულთან შედარებით თვალსაჩინოდ უმჯობესდება, რაც შეძლებას აძლევს მას გაუმჯობესოს თავისი ნივთიერი მდგომარეობა; ეს გარემოება კი თავის რიგად, ავალებს მასწავლებელს მეტი ყურადღება, ზრუნვა და დრო მიაქციოს თავის სკოლას.

მოქალაქის მოვალეობა, მოვალეობა სამსახურისა და ის ხანა, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, უფრო მეტად ვალდებულად ჰხდის თვითეულ სახალხო მასწავლებელს, რომელსაც ესმის თავისი მოვალეობა და დანიშნულება, მოუცილებლად იდგეს მიჩენილ ადგილზე: სოფლელთა მასის ხელმძღვანელად და მოზარდი თაობის აღმზრდელად. ამ ჟამად, როდესაც საზოგადოებრივი სახელმწიფო ყველა დარგები განიცდის მძიმე კატასტროფულ კრიზისს, მთელი ჩვენი მხარე და კერძოდ სოფელი საჭიროებს ინტელიგენტ მუშაკებს; ამიტომ არ ეპატიება სახალხო მასწავლებელს სოფლისა და სკოლის ღვთის ანაბარად მიგდება და თავისი პირდაპირი მოვალეობის გარეშე მუშაობა...

მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება!

თვითეული მუშაკი მიჩენილ ადგილზედ!

აი დევიზი თავისუფალ ქვეყნის ყოველი შეგნებული მოქალაქისა, და თუ რომელსამე სახალხო მასწავლებელს ეს ვერ შეუთვისებია, აშკარაა, მას ადგილიც არ უნდა ჰქონდეს მასწავლებელთა შორის.

სამწუხაროდ, კომისიას აქვს ცნობები, რომ ზოგიერთები მხოლოდ ქაღალდზე ირიცხებიან მასწავლებლად და თავიანთ პირდაპირ დანიშნულებას არ ასრულებენ.

ასეთ ამბებს ბოლო უნდა მოეღოს.

მოვუწოდებთ ტფილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებლებს, იდგნენ თავიანთ მიჩენილ ადგილზე და პატიოსნურად შეასრულონ მასზე დაკისრებული მოვალეობანი.

ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების გამგე კომისია თავის მოვალეობად სთვლის, წინ-და-წინვე გააფრთხილოს მასწავლებლები, რომ იმათ, რომელნიც თავს არიდებენ პირდაპირი მოვალეობის ასრულებას, კომისია იძულებული იქნება, დაითხოვოს და მათ ადგილზე მოიწვიოს ისეთები, რომელთაც სურვილი აქვთ პატიოსნად იმუშაონ ხალხისა და ახალთაობის სასარგებლოდ.

კომისიის თავმჯდომარე
პ. ჩარექიშვილი,
მდივანი ვახ. ჯაფარიძე.

საგამომძიებლო ნაწილის განახლება

(ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილება)

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა საგამომძიებლო ნაწილის განახლების შესახებ შემდეგი დაადგინა:

1. მომრიგებელ მოსამართლეთა თანაშემწეების თანამდებობა უქმდება. ამ თანამდებობის პირნი თუ სხვა თანამდებობაზე არ იქნებიან დანიშნულნი, რჩებიან შტატს გარეშე საზოგადო წესის მიხედვით.

2. დანაშაულთა წინასწარ გამოსაძიებლად არსდება სასამართლო გამომძიებელთა თანამდებობანი.

3. თბილისის გუბერნიაში და ზაქათალის ოლქში ინიშნება 40 გამომძიებელი, ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში—45, ბაქოს გუბერნიასა და დაღესტნის ოლქში—45, განჯის გუბერნიაში—36, ერევნის გუბერნიასა და ყარსის ოლქში—40. სულ 206 გამომძიებელი.

4. საგამომძიებლო უბნების რიცხვის და საზღვრების გამომუშავება და გამომძიებელთა შორის უბნების განაწილება უნდა მიენდოს საოლქო სასამართლოს საერთო კრებას. კრების დადგენილებას დაამტკიცებს იუსტიციის სამინისტროს საქმეთა კომისარი.

5. საოლქო სასამართლოებთან ქვლავ დარჩება გამომძიებელთა თანამდებობანი მეტად საჭირო საქმეებისათვის.

6. სასამართლო გამომძიებლები იყოლიებენ ნაფიც თარჯიმნებს.

7. ნაფიცი თარჯიმნები სამსახურით საოლქო სასამართლოს მდივნებს უთანასწორდებიან.

8. სასამართლო გამომძიებლებს განსაზღვრულ ჯამაგირის გარდა, სამაზრო უბნებში სიარულის გამო ეძლევათ 800 მანეთი წლიურად, ხოლო ქალაქის უბნებში სიარულისათვის—წლიურად—800 მანეთი. საკანცელარიო ხარჯების დასაფარავად—წლიურად 800 მან. კამერების დასაქირავებლად საგუბერნიო ქალაქებში 800 მან. წლ. დანარჩენ ადგილებში წლიურად 600 მ.

9. ერობებს და ქალაქების თვითმართველობათ უფლება ეძლევათ ფული მოუმატონ სასამართლო გამომძიებლებს კამერების და ბინების დასაქირავებლად.

10. ეს დადგენილება სისრულეში მოყვანილ იქნება მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევის და მათ თანამდებობაზე შესვლასთან ერთად თანახმად ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წ. ქრისტეშობისთვის 31-ის დადგენილებისა.

პატარა ფელეტონი

და ასე ბოლომდე

(მიძღვნილის პირი)

ვიღაცა სდევდა, ხშირად მოსვენებას არ აძლევდა, ვინ იყო, თვითონაც არ იცოდა, ვერა ჰხედავდა. გულით გახარება არ შეეძლო, პირს ღიმი წამსვე მწუხარებად ეცვლებოდა და მკერდზე უნებურად ხელს იდებდა.

— აი გამიყარა კლანჭები!—წამოიძახებდა ხოლმე უცბად თავისთვის და დაბინდულებულს თვალს გარემოს ავლებდა.—როგორ იწეწება, როგორ!.. სად არის მოსვენება, სად?..—უმატებდა თანა.

მიყუჩდებოდა, სახე უსწორდებოდა და სევდანარევი ღიმილით იცქირებოდა.

— რა იყო?—ეკითხებოდნენ ზეპირად.

— არაფერი!—იძლეოდა პასუხად.

ხელს იქნევდა და ყველას იშორებდა ან თვითონ ჰშორდებოდა... უფრო თვითონ ჰშორდებოდა.

— აი ისევ, აი ისევ!—იძახდა შორეულ კუთხიდან განმარტოებულის სიტყვები და ჰაერში იძირებოდა.

ყველას სუნთქვა უძნელდებოდა.

ხშირად ეკითხებოდა, ვინა ხარო? დამენახვე! მაგრამ პასუხად ცარიელი ოთახის ეხო ესმოდა.

ხანგამოშვებით შვებასა ჰგრძნობდა, გული უცნაური ტყვეობიდან უთავისუფლდებოდა და მაშინ გარშემო სიმშვიდე მყარდებოდა, მამებელი სხივები იფინებოდა და შარავანდედით ევლებოდა გაწამებულ სახეს. ჰაერი სუბუქდებოდა და ყველას სუნთქვა უადვილდებოდა.

— რატომ არ გინდა რომ სულ ამ მოსვენებაში მამყოფო, რატომ არ გინდა?—ეკითხებოდა თავის მდევნელსა.

მაგრამ პასუხად ისევ ეხო ესმოდა.

უჩინარი კი ხელმძღვანელად გულის წიწკნას შეუდგებოდა და სულს უშფოთებდა.

— დამაკაწრა! დამაკაწრა!..—წამოიძახებდა ხოლმე მსხვერპლი და იმედ-დაკარგული ამბობდა,—...და ასე ბოლომდე... და ასე ბოლომდე დაილევიან ჩემნი დღენი... შველა კი არსაიდან, არსაიდან! და ასე ბოლომდე!..

ან-ბანი.

ტელეგრაფის ნაციონალიზაცია

ოცდაათი წლის წინ ძველი მთავრობის მიერ გამოცემულ სხვადასხვა ქვეყნის ქალაქების სახელების სიის წიგნს წინასიტყვაობაში ჩართული აქვს, სხვათა შორის, სია იმ ხალხთა, ენა იგი იმ ერისა, რომელთა ენაზედაც შეიძლება მიღებულ იქნეს დეპეშები. ამ სიაში რადგანაც მიზეზით თუ მოსაზრებით მხოლოდ ქართული ენა არის გამოკლებული. რა ენაზედაც კი იქნებოდა დეპეშა დაწერილი, ასოები უეჭველად რომაული ანუ ფრანგული უნდა ეხმარა კაცს. მაგალითად, აი ასე: Mogiloeavt dgeobas. mravals daescarit, bevrs dagkocnit.

შემდეგში იყო განმარტება, რომ დეპეშები სხვათა ენაზედ მიიღება იმ შემთხვევაში, თუ მიმღებ მოხელეს ეს ენა ეცოდინება. ამგვარმა განმარტებამ მაინც ბევრი ცვლილება ვერ შეიტანა ტელეგრაფში და დეპეშები ისევ ან რუსულად იწერებოდა, ან ფრანგულად.

დღეს კი, რა რომ ბედმა ცოტათი გაგვიღიმა და ჯერ-ჯერობით მცირედი განთავისუფლება გვეღირსა, შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში ადგილობრივმა მთავრობამ განკარგულება მოახდინოს ქართულ დეპეშების მიღებაზედ ქართულისავე ასოებით და მაშინ „ქუჩის ადვოკატების" ლუკმაც შეწყდება, რომელნიც დეპეშების შედგენა-წერაზედ გაცილებით მეტს ადებდნენ, ვიდრე თვით დეპეშის გადასახადში გადაახდევინებდნენ კაცს და, ვინ იცის, როგორ დამახინჯებულ აზრს დაიწერდნენ იმის მაგივრად, რაც საჭირო იყო დასაწერად.

რაკი სამშობლო ენაზედ დეპეშის გადაცემის ნებართვა ხელთ გვექნება, მაშინ ტელეგრაფის მოხელენი საქართველოს ტერიტორიაზედ ქართული დეპეშების მიღებაზედ უარს ვეღარ გვეტყვიან. რაკი სამსჯავროები, სამმართველოები, სასწავლებლები და სხვადასხვა დაწესებულებანი ჩვენს ქვეყანაში ქართულად აწარმოვებენ, მაშინ ფოსტა და ტელეგრაფიც უეჭველად საჭიროებად შეიქმნება ქართულს ენაზედვე. და იმ ერისათვის რომ ფოსტა-ტელეგრაფში ჩვენ არა გვყავდნენ მომზადებული მოსამსახურე პირნი, სწორედ რომ დიდ დანაშაულად ჩაითვლება ჩვენთვის.

ამ ოციოდე წლის წინად, სახელდობრ 1897 წელს, ჩემმა მეგობარმა ვალიკო გუნიამ თავის კალენდარში (გვ. 489) დაბეჭდა „ტელეგრაფის მორზესეული ნიშნებიანი ანბანი ქართულად გადმოკეთებული მათე იანქოშვილისაგან".

ნებას ვაძლევ ჩემს თავს და ამ მცირედ წერილთან ერთად ოცი წლის შემდეგ კიდევ ვბეჭდავ ამ მორზესეულ ანბანს ჯერ-ჯერობით არა სახელმძღვანელოდ, არამედ როგორც ნიმუშს.

ნამდვილი ქართული დეპეშა, ქართული სიტყვებით და ქართული ასოებით დაბეჭდილია, როგორც ნიმუში, ჩემს პატარა დასურათებულ წიგნაკში „ელექტრონი და საოცარი მანქანები", გამოცემული 1895 წელს გვ. 22, მხოლოდ იმ წიგნაკს კაცი წიგნთ-საცავებში-ღა თუ ნახავს.

აი თვით ნიშნებიც:

ქართული:	ფრანგული:	რუსული:	
ა	a	а	. —
ბ	b	б	— . . .
გ	g	г	— — .
დ	d	д	— . .
ე	e	е	.
ვ	v	в	. — —
ზ	z	з	— — . .
ი	i	и, i	. .
კ	k	к	— . —
ლ	l	л	. — . .
მ	m	м	— —
ნ	n	н	— .
ო	o	о	— — —
პ	p	п	. — — .
ჟ	v	ж	. . . —
რ	r	р	. — .
ს	s	с	. . .
ტ	t	т	—
უ	u	у	. . —
შ	ch	ш	— — — —
ც	c	ц	— . — .
ჩ	—	ч	— — — .
ხ	w	х	. . . .

ასო „ო"-დგან დაწყობილი ნიშნები ბოლომდის შეთანხმებულია ქართულის ანბანისათვის აი ასე:

ქართულად	ფრანგულად	რუსულად	
თ	—	—	— — . — —
ფ	f	ф	. . — .
ქ	—	ы	— . — —
ღ	—	ю	. . — —
ყ	q	щ	— — . —
ძ	—	я	. — . —
წ	—	ъ, ь	— . . —
ჭ	—	ѣ	. . — . .
ჯ	—	—	. — — . —
ჲ	i	й	. — — —

ამ ანბანში სულ 38 ასოა მოთავსებული, ასოები კი ჱ, ჳ, ჵ გამოტოვებულია, როგორც ამ უკვე არ ხმარებული ასოები.

მათე იანქოშვილი.

კორესპონდენცია

საინგილოდან

ამას წინად გაზეთებშიც იყო ცნობა ინგილოების გასაჭირზე. მაგრამ განა გაზეთის ფურცლებს შეუძლიან აცნობოს კაცს ის, რა შევიწროებაშიაც ჩვენ ვართ, როგორც სარწმუნოების მხრივ ისე ეკონომიურად? მაგრამ ბევრიც რომ ვიჩივლო ტყუილად თავს მოვაწყენ მკითხველებს და სჯობს ისევ ის გაუზიარო თუ რა გზას ვადგევართ, როგორ უვლით ჩვენ თავს ყველასაგან მიტოვებულნი. იანვრის 20 წინარის წყალზე თავი მოვიყარეთ სიღნაღის მაზრის და ზაქათალის ოლქის წარმომადგენლებმა. მიზნათ გვქონდა გამოგვენახა რაიმე საშუალება, რომ ჩვენ მეზობელ ხალხთან და მათ კი ჩვენთან ერთი ერთმანეთ შორის კეთილი დამოკიდებულება გვქონოდა: ამ საქმის მოგვარებისათვის რაიმე ზომების მისაღებად ავირჩიეთ საგანგებო კომისია. კომისიაში ზაქათალის ოლქიდან შედიან: ასლან ბეგი ყარდაშევი, დიბიროვი, ნასიბოვი, მოლა შარიფ-გაჯი-გამედოვი, მაგომედ-ვასინვი, მაგომედ ოდლი და სხვები, სიღნაღის მაზრიდან: ა. ლისენკო, პ. ქუსიკო, ნ. ნადირაშვილი, ი. ნანიტაშვილი, ილ. დევნიაშვილი და მ. ზაქაშვილი. კომისიამ სადამოსვე გამართა კრება. კრებამ აირჩია პრეზიდიუმი, რომელსაც წევრები სხდომები უნდა ჰქონდეს წინარის წყალზე. თავმჯდომარედ არჩეულია ვ. რცხილაძე ხოლო მის ამხანაგად ასლან-ბეგ ყარდაშევი. რცხილაძეს ევალება დაიცვას ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა ინტერესები სიღნაღის მაზრაში, ხოლო ყარდაშევს—სიღნაღელებისა—ზაქათალის ოლქში.

კომისიას მსჯელობა ჰქონდა აგრეთვე ამ ჩვენში გახშირებულ პროვოკაციის შესახებ და დაადგინა, რომ კომისიის თავმჯდომარეებმა სამართალში უნდა აძლიონ ყველა ის პირნი, ვისაც კი შენიშნავენ, რომ იგი ყალბ ხმებს ავრცელებს და ერთ ერს მეორეზე ასისინებს. კომისიამ გადასწყვიტა რომ სიღნაღის მაზრაში დატყვევებული ზაქათალის ოლქის დამნაშავენი ზაქათალაშივე იგზავნებოდნენ და ასევე ზაქათალის ოლქში დაჭერილები—სიღნაღის მაზრაში. კომისიამ [illegible] აგრეთვე [illegible] როგორც მაჰმადიან ერებში ისე სხვა მეზობლებთან რომ შესაძლებელი გახდეს ძველი განწყობილების დამყარება.

ამ ბოლო ხანს მეტად გახშირდა ყაჩაღობა და ცხვარ-ქურდობა. რა თქმა უნდა კომისია ამას ვერ ეგუებოდა. ყაჩაღობის საწინააღმდეგოდ ბრძოლის შესახებ კომისიამ გადასწყვიტა დანიშნონ საგუშაგო ადგილი და ყველგან ოთხ-ოთხი მილიციონერი უნდა მიუჩინონ. კომისიის გადაწყვეტილებით, თუ რომელიმე სოფელში მოხდა ძარცვა-გლეჯა და დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს, სოფელმა უნდა იკისროს ზარალის ანაზღაურება.

დასასრულ კომისიამ განიხილა ჩვენი თავდასხმის ამბავიც. კომისიამ დაავალა კომისარ ქობულოვს, რომ მ[illegible] საჭირო ზომები მიიღოს და ინგილოებს წართმეული საქონელი დაუბრუნ[illegible]. ვნახოთ გვეშველება რამე [illegible] არა.

გ. ჯ.

რედაქტორი ხარიტონ ვაშაკიძე.

კალენდარი

პარასკევი, თებერვლის

2

ქართვ. მირქმა უფლისა ღვთისა და მაცხ. ჩვენისა იესო ქრისტესი.
კათოლ. † მირქმა უფლისა.
სომეხ. მარხვა.
მაჰმად. ჯუმა 3 რ. ჯემადი ულ-ველ, 1336 წ. ჰიჯრისა.
ებრაელ. იომშიშ 3 რ. ადარისა 5678 წ. ქვეყნ. შექმნ.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ სწრ. № 5, 11,32 დილ.
სამგზ. № 9, 11.28 საღ.
ხაშური-ბორჯომის. № 19, 3.17 დღ.
„ „ № 17, 8.19 დილ.
ბაქოსაკენ ჩქარ. № 6, 9.51 დილ.
„ სწრ. № 4, 8.46 საღ.
ყარსისკენ სამგზ. № 4-8, 12.15 საღ.
„ № 61. 8,18 დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქანქამდე).
„ № 63.4, 48 ნაშუადღევს მცხეთამდე.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან სამგზ. № 10, 8.38 დილ.
„ სწრ. № 6, 7,41 საღ.
ხაშ.-ბორჯ. სამგზ. № 20, 7.57 დილ.
„ სამგზ. № 18, 9.50 საღ.
ბაქოდან სწრ. № 8, 10 26 დილ.
„ ჩქარ. № 5, 10 20 საღ.
ყარს-ჯულფ. სწრ. № 3***, 7. 58 დილ.

კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:
სამგზ. № 4, 8 58 დილ.
თბილისში მოდის:
საღამოთი 6.24 წუთ

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის.
დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული"
წელიწადი მეთოთხმეტე. ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით
საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით
მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.
რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.
—884—5

საავადმყოფო
სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის
დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდროვის ბაღის ახლო, ტელეფონი 431.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.
ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. დღეგულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველდღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და სნებით, ყოველდღე 2—3 საათამდე.
იოსელიანი—ქალთა და სნებით ავად. დღეგულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველდღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ, ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტრონცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველდღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი დღეგულობს ყოველდღე 10—12 საათამდე.
100—920—79

„ცხოვრება" კალანდაძისა გამოცემის შესახებ № 4.